



## ბექა ახალაია დედოფლის თითი

მამა ადრე წვება,  
მაგრამ ვერ იძინებს, დილამდე წრიალებს.  
ლოგინი იმისია, რომ უნდა დაიძინო,  
წერვიულობის დროს ბოლთას სცემენ, თუთუნს ეწევიან,  
სანერვიულოდ ლოგინში ვინ წვება?! — მხოლოდ მამაჩემი.

ადგება შუალამით, ნეკისიგრძე გათლილ თხილის რტოს  
სიგარეტივით ტუჩებში მოიქცევს, გადავა ალაგებზე,  
გაჰყვება შუკას ფრთხილი ნაბიჯებით,  
რომ ამოშვერილ ქვებს ფეხი არ წამოჰკრას.  
ეს ქვები, თავის დროზე, ბაბუამ რიყიდან ურმით ამოზიდა,  
მას შემდეგ შუკა წვიმის დროს აღარ ტალახდება.

მამა მიდის, უთქმელი მამა, გამხდარი მამა,  
თითებში თხილის რტო გაუჩრია, ურტყამს ყალბ ნაფაზებს,  
ნამდვილ სიგარეტს მხოლოდ სიმთვრალეში ეწევა,  
მაგრამ წლებია, წვეთიც არ დაუღვია.

მხარზე გაისწორებს თორმეტკალიბრიანს,  
ცარიელია, შესაშინებლად გამოდგება,  
თორემ კაცს კი არა, ნადირსაც ვერ ესვრის.

მოხდა ერთხელ:  
გალმა სოფლელი კაცი თავის თხილს დარაჯობდა,  
ქურდები მოსაკრეფად გადმოიპარნენ,  
გამწარებულმა კაცმა იფიქრა, ფეხებში ვესვრიო,  
და იმ სიბნელეში თვალმოკრულ ლანდს დაბლა ესროლა...  
სხვები გაიქცნენ, ის ერთი კი, თურმე, ქალი იყო,  
შეშინებული, როგორც ჩანს, ჩაცუცქდა, და მოხვდა სახეში...  
მას შემდეგ მამას მასრები უჯრაში უღაგია.

მიალწვეს თხილის მოზრდილ პლანტაციამდე,  
ყველა მწკრივს ფანრით გახედავს, შუქი ბოლომდე წვდება,  
არავინაა, მაგრამ მაინც გაივლის, გამოივლის,  
და ბიძაჩემის თოფს ისევ მხარზე გადაიკიდებს.

მამა სულელი კი არ არის, იცის ძალიან კარგად,  
რომ აზიურმა ფაროსანამ მოსპო წლევანდელი მოსავალიც,  
ათი თხილიდან ცხრას გული არა აქვს,  
და, აბა, ვინ მოვა ასეთი თხილის მოსაპარად?!  
უბრალოდ, ხანდახან, როცა ლოგინში წერვიულობს,  
გული ვერ უთმენს, დგება და აქეთ მოიჩქარის.

გზაში რალაც სასწაულს ელოდება,  
ზოგჯერ წარმოიდგენს, რომ ისევ ძველი დროა,  
და თავის სახელგანთქმულ თხილს იცავს კბილებით.  
ზოგჯერ კი იმას ნატრობს, რაც არასოდეს უნატრია:  
ოლონდ მოსავალი ვარგოდეს და თუნდაც ქურდი დახვდეს,  
და ჩემს თავს იფიცებს ხმამაღლა, ვილაცის გასაგონად,  
რომ არაფერს ეტყვის, ტომრების ავსებაშიც დაეხმარება.

შვილის კუბოსავით საშინელი სანახავია  
ძირს ჩამოყრილი, გარედან სალი და შიგნით ფუტურო  
ნაყოფი, ყალბი მარგალიტებით მოფენილ მინდორს ჰგავს.  
ის მაინც აკრიფოს ვინმემ და რამეში გამოიყენოს...

ადრე ამერიკულ პეპელას ებრძოდა,  
მაშინ ჩვენც იქ ვიყავით და ვეხმარებოდით,  
ვარჯებს ფოთლებდალრნილ ტოტებს ვაშორებდით ყოველდღე,  
ყვითლად სკდებოდნენ ქუსლით გასრესილი მუხლუხები,  
და მათი შემხედვარე, საქმელს ველარ ვჭამდი...

მამა კიბეზე ზის, გამხდარი მამა,  
და ურტყამს ყალბ ნაფაზებს, უთქმელი მამა,  
წერვიულობას ინახავს ლოგინისთვის,  
ახლა კი მხოლოდ მდინარეს აყურადებს:  
შხული ქვემო წელიდან ისმის, რაც იმას ნიშნავს, რომ  
ხვალ კარგი ამინდი იქნება, მაგრამ რა თავში იხლის?!  
წერვიულობას ინახავს, ახლა კი უბრალოდ ეფიქრება:  
რა ჯანდაბა უნდათ მის პლანტაციაში აზიას და ამერიკას?!

მამამ გააშენა მთელ რაიონში პირველი პლანტაცია,  
როცა საფართოზე ყანა ეკლიანი მავთულით შემოღობდა  
და თხრილიც შემოავლო, ზურგსუკან დასცინოდნენ:  
ნეტავ რამ გააგიჟა, რა თხილი, რის თხილიო.  
და წლების შემდეგ, როცა მამა მართალი აღმოჩნდა,  
თავში ხელს იშენდნენ, ჩაის ბუჩქები ამოძირკვეს,  
და სასიმილდე ყანებშიც (ეგ კი არა, ბოსტნებშიც კი)  
თხილის წერგები ჩაყარეს და შედეგს დაელოდნენ.


ამ დროს ჩვენი თხილი უკვე მოსავალს იძლეოდა,  
ეს კი მათთვის არც ისე კარგი სანახავი იყო —  
შემოდგომის პირზე ვილაცამ გამხმარ ბალახს ცეცხლი წაუკიდა...  
წყლით სავეს სათლებით როცა დავრბოდით, დამხმარე მეზობლებში  
ალბათ ის ვილაცაც ერია და გულში იცინოდა,  
მერე უფრო გაიციინებდა, რადგან ვერ ჩავაქრეთ,  
და პლანტაცია მთლიანად გადაინვა.  
წლები დასჭირდა ძირში მოჭრილი ბუჩქების განახლებას.

მამა უგემურად ილუკმება, უჭმელი მამა,  
ანუხებს ჩემი გაურკვეველი მომავალი,  
ყველა ლოგიკით მე ახლა ჰალსტუხი უნდა მეკეთოს  
და უნდა მქონდეს შემოსავლიანი სამსახური.  
რისთვის დაიხარჯა იმდენი ფული და ენერგია,  
და იმედებს საყრდენი როდის გამოეცალათ?!

„— მას რომ შეეძლოს... ეს თხილი ჭირსაც წაუღია!“ —  
ფიქრობს თავისთვის, ხმამაღლა არ ამბობს, უთქმელი მამა.  
მაგრამ ამაყია, თავის ნათლიას,  
ჩემი პოეტობა რომ გააქილიკა,  
სამუდამოდ დაემდურა, და როცა მოკვდა, არც დაუტირია,  
წარმოგიდგენიათ?! მას შემდეგ აღარ ვიცი,  
წერას შევეშვა და სხვა საქმე ვიპოვო, თუ გავაგრძელო.

მამა ადრე წვება,  
მაგრამ ვერ იძინებს, დილამდე წრიალებს.  
კომოდზე ალაგია: წნევის აპარატი, სათვალე, ნამლები, მობილური  
და ჭიის გამობრული ერთი მოგრძო თხილი,  
რომელსაც „დედოფლის თითი“ ჰქვია.

IV-V



— რას გაგხარ? — მიყურებს ზაზა და ნაიარევი სახე გაკვირვებისგან კიდევ უფრო ნაიარევივით უხდება.

— რას ვგავარ?

— ეგ რა ფორმა გაცვია?

— ვერაა? — ფრთხილად ვითვალისწინებ ტან-ფეხს.

— ვერა კი არა, ნადეჟდა!

— რატომ?

— რა, რატომ?! კაცს ფრონტზე გაგზავნით, შენ კიდევ ინდაურში გასაცვლელ ვილაც ჩოილარ ტყვეს გავხარ...

— სანყოფი, ლომიტი ამონურულიაო...

— რა ლომიტი? ვინ სანყოფი?

— ქვემოთ... ახალ წლამდე არ იქნება ახალი ფორმებიო, — ვინურავ მხრებს.

ზაზა სწრაფად დგება ფეხზე და მასთან შედარებით მთლად თითისტოლა ვჩანვარ.

— წამო, მანახე, ვინ მოგიყვავ ეგ ზღაპრები! — მადებს უზარმაზარ მარცხენა ტორს მხარზე და ილიაში ამოდებული მუთაქასავით გააქვს ჩემი თავი დერეფანში.



ბესო ხვედელიძე

# ოს მუვიდობა

ხელს მარცხენათი. მგონია, ტრადიციულად ნადირით მომიჭერს და ტკივილისგან ადგილზე მომღრეცს, მაგრამ ის რალაცნაირად უცხოვდ, თბილად, თითქოს მამაშვილურადაც კი მართმევს ხელს.

— აბა, ყოჩაღად!.. და ნურაფრის გემინოდეს!

— შევეცდები...

— დიდი-დიდი, დაგბრიდონ! — ქირქილებს ზაზა თავისთვის და სახეზე იარები კიდევ უფრო მკაფიოდ ეტყობა, — ღმერთს, ხომ გაგიგია, რჩეულები სხვებზე ადრე მიყავს თავისთანო?

— რა ჩამოგიტანო ზღვიდან? — ვუსწორებ მზერას.

— კენჭები ისეც მაქვს ნაღვლის ბუშტში...

— სხვა არაფერი?

— დაგხვდებიან იქ ჩვენები. დანარჩენი კი იცი...

— ჰო!

— დილა-საღამოს კავშირზე ვიქნებით. კერძო ურნალ-გაზეთებს და რადიო-ტელევიზიებს არანაირი ინფო არ მიცე! ჯერ ჩემთან გამოუშვებ და მე გაგანაწილებ!

— მახსოვს ეგენი!

— პეტროს დაუჯერე! ოპერატორი ოლეგა შენზე იქნება მომაგრებული... არ გადარიოთ ერთმანეთი! არ იხულებოთ! ცოტა ხანს ერთმანეთს ისევ თვალბუმი შევეყურებთ. მერე ზაზა რალაცნაირად ამბობს:

და უბედურობა მინდოდა კიდევ მე? ესაა სამართალი, ღმერთო?!

— შეჭამე აგერ პამიდორი...

— დამანებე თავი! პამიდორს კი არა, სიკვდილს შევჭამე, ისე ვარ!

— მე სალა და შავი პური მაქვს, — მახსენდება უცებ და ტომისკას ვხსნი.

— ოოო!.. აი, მალაღეეც!.. — ისმის აქეთ-იქიდან.

ვილაცა დანას წკაპუნით მანვდის.

— ზღვის სიღრმეში ჩვენი მხრიდან შევალთ... — უხსნის კიდევ სხვა ვილაც თავის გვერდზე მჯდომ ახალბედს, — წრეს დავარტყამთ და ზღვის სიღრმეიდანვე დავეშვებით დასაჯდომად!

— რათა, კაცო?

— რათა და იმათა!.. რომ არ მოგვწვდნენ. ალყაშია მთელი ზონა. მაინც გვესვრიან, მაგრამ ღმერთივით პილოტები გვეყავს. ისეთ სიმაღლეზე აყავთ თვითმფრინავი, ბომბი კი არა, ეშმაკი ვერ მოგვევდება...

— ამას ოტკა მოუხდებოდა! — ამბობენ ჩემ სალასა და შავ პურზე.

— აგერ ა! — ვილაც მათარას ხსნის.

გაზეთზე ხახვის თავს აგდებენ.

— აბა, ჩვენ მშვიდობიან პასადკას გაუმარჯოს! — იყულებს მათარას სალასა დამჭრელი და მალევე იშორებს პირიდან, — სიკვდილია! — ხრიალებს იქვე, შავ პურს ყნოსავს და მათარას მანვდის.

— რა მინდოდა პოლიციაში? — მოთქვამს ისევ ის ვილაც მარჯვნიდან, — სულ ეგეთი ბედი მაქვს ყველაფერში. ხომ შეიძლება, ერთხელ მაინც გამამართლებოდა ცხოვრებაში... მერე კიდევ იტყვიან — ღმერთი არსებობსო... გადამაყრევინა ნასესხები ფული წყალში... ვმჯდარიყავი ჩემთვის სახლში უსამსახუროდ. აქ ხომ მაინც არ გამოგზავნიდნენ... ახლა კიდევ, ომი გეხებაო! რომ მომკლან, რა ვქნა მერე? ვინ დააბრუნებს იმხელა ვალს. მიაღებინა ჩემ ცოლს...

— რა გინდა, კაცო, შენ, რომ შეგეჭამე ცოცხლად? — ეკითხება მონუნუნეს ვილაც ზორბა აღნაგობის ავტომატიანი წვეროსანი.

— როგორ თუ რა მინდა?

— უნდა გადაგადგოთ მაინცდამაინც ფანჯრიდან? ვერ გავიგე, შენთან ერთად გინდა, ვიტყვი, თუ როგორაა? — მიაქვს ავტომატიანს სახე ლურჯსამხრეებიანის სახესთან.

ლურჯსამხრეებიანი ერთბაშად პატარავდება და ისუსება.

— ჯერ იმ კაცის დედას შევეცი, სამსახურში მონყოფაში ფულს რომ გადაიხდის და ამ ფულის ამოღებას სხვისი გაუბედურებით დააპირებს! მერე იმ სამსახურის დედაც მოვტყან, ასეთი ადამიანის სამსახურში მიღებაში ფულს რომ აიღებს! და მერე კიდევ იმ ადამიანების დედაც მოვტყან, ვინც ასეთ კაცს თავს დააჭერინებს და მყუთს აიხვეს! — შეღრიალებს ავტომატიანი ლურჯსამხრეებიანს სახეში. ის შეშინებული სახით მიჩოჩავს უკუსვლით და სულ მალე საერთოდ გვეკარგება.

იქ სამხედროები ირევინ. ზაზას ყველა იცნობს. მათ სალამში მოწინებაც იგრძნობა და შინაურობაც: გვესალმებიან სამხედრო ყაიდაზე — ხელის საფეთქელთან მიტანით, შედახილებით, თვალის ჩაკვრითაც. ზაზა ნიკაპის მკაცრი დაქნევით აბრუნებს სალამს და ლამის იატაკზე მიმახობიალებს. ჯერ ბნელ კიბეს ჩავდივართ ფართა-ფურთხით — ერთს, სამს, ხუთს. მერე სანყოფია.

— ესაა?

— აჰა...

ფეხის ქვინტს უხეშად კრავს კარს ზაზა და ერთადვე შეედივართ. იქ ტყავის და ფეხის მძაფრი სუნი დგას. იქაურობის სქელსათვლიანი სამხედრო უსტაბაში მაგიდასთან ზის და ცხვირში თითგარჩილი გაზეთს ჩაჰყურებს. ჩვენ დანახვაზე სახიდან ფერი გადასდის და მაშინვე ფეხზე ხტება.

— ვინ თქვა, ფორმები არააო?! — ვეება მარცხენა მუშტს ღვინით სავსე გრაფინივით უდგამს წინ ზაზა სქელსათვლიანს.

— ზაზა-უპროსო, ეტკევა შენგან ტუიკო!

— ეს ძონძი გახადა სასწრაფოდ! მეორედ არ გამამეორებინო!

— არის, უპროსო! — ყურთან აქვს მიდებული გამლილი ხელისგული სქელსათვლიანს, — ია დუმალ, პრაკტიკანტ...

— და ისე გაზმანე, მთელ ბატალიონს ნერწყვი მოადგეს პირზე! — ამბობს ზაზა ცივად და სანყოფიში მტოვებს.

სათვლიანი დაორთქლო სათვალეს იხსნის და ნერვიულად წმენდს მუშებს.

— ნერცკვი-ნერცკვი! შენ კიდევ, ვერ იტკვი ვისი ხარ? არ უნდა იცოდე პარიადოკი?

— დიახ...

— დიაბეტიკი გავხდი ტკვენ ხელში... სად მიდიხარ?

— სოხუმისკენ... პრესცენტრში!

— ანუ ბეზ არუჟია?

— დიახ-თ!

სქელსათვლიანი დიდ სეიფს უკმაყოფილოდ აღებს და იქ ფათურს იწყებს. მერე წამით ყოფს იქიდან თავს.

— ფორმა და ბატინკები კაის მოგცემ. კიდევ ბლოკნოტი და პასტებიც გეკუთნის. ოგონდ ეგენი ჯერ არაა! მამუ კლინუს! აგერ ჩემი რუჩკა წაიგე. ორი მაქ. აგერ სქელი როულიც მაქ. სამოზდათორმეტგვერდიანია! ბოლო გვერდზე ჯოკერია დახაზული. ეგ ამოხიე. აგერ უცკისებზე მოაცერე ხელი.

— დიახ!

— სლუში, ვოენკორ!.. ა ჩტო ზნაჩიტ: „ნერცკვი მოადგეს პირზე“?

\*\*\*

ტრამპიდგმულ თვითმფრინავთან სხვადასხვა ფერის სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები დგანან.

— რატომ არ ადიან? — ვეკითხები ზაზას.

— ადი და ამოგყვებიან! — მაქეზებს თვალისჩაკვრით, — დღეს შენ ჭრი ლენტს! ყველაზე კაი ზმანზე შენ ხარ!

ისევ თავს ვითვალისწინებ. უკვე უახლესი, გატკინებული სამხედრო ფორმა და პრიალა სამხედრო ჩექმები მაცვია.

— წაფრინდი მამინ! — ვამბობ და ზაზას მარჯვენა ხელს ვუნვდი.

ზაზას ეცინება და უცებვე ვხედები ჩემ შეცდომას. მაშინვე ვანაცვლებ მარჯვენა

და უბედურობა მინდოდა კიდევ მე? ესაა სამართალი, ღმერთო?!

— შეჭამე აგერ პამიდორი...

— დამანებე თავი! პამიდორს კი არა, სიკვდილს შევჭამე, ისე ვარ!

— მე სალა და შავი პური მაქვს, — მახსენდება უცებ და ტომისკას ვხსნი.

— ოოო!.. აი, მალაღეეც!.. — ისმის აქეთ-იქიდან.

ვილაცა დანას წკაპუნით მანვდის.

— ზღვის სიღრმეში ჩვენი მხრიდან შევალთ... — უხსნის კიდევ სხვა ვილაც თავის გვერდზე მჯდომ ახალბედს, — წრეს დავარტყამთ და ზღვის სიღრმეიდანვე დავეშვებით დასაჯდომად!

— რათა, კაცო?

— რათა და იმათა!.. რომ არ მოგვწვდნენ. ალყაშია მთელი ზონა. მაინც გვესვრიან, მაგრამ ღმერთივით პილოტები გვეყავს. ისეთ სიმაღლეზე აყავთ თვითმფრინავი, ბომბი კი არა, ეშმაკი ვერ მოგვევდება...

— ამას ოტკა მოუხდებოდა! — ამბობენ ჩემ სალასა და შავ პურზე.

— აგერ ა! — ვილაც მათარას ხსნის.

გაზეთზე ხახვის თავს აგდებენ.

— აბა, ჩვენ მშვიდობიან პასადკას გაუმარჯოს! — იყულებს მათარას სალასა დამჭრელი და მალევე იშორებს პირიდან, — სიკვდილია! — ხრიალებს იქვე, შავ პურს ყნოსავს და მათარას მანვდის.

— რა მინდოდა პოლიციაში? — მოთქვამს ისევ ის ვილაც მარჯვნიდან, — სულ ეგეთი ბედი მაქვს ყველაფერში. ხომ შეიძლება, ერთხელ მაინც გამამართლებოდა ცხოვრებაში... მერე კიდევ იტყვიან — ღმერთი არსებობსო... გადამაყრევინა ნასესხები ფული წყალში... ვმჯდარიყავი ჩემთვის სახლში უსამსახუროდ. აქ ხომ მაინც არ გამოგზავნიდნენ... ახლა კიდევ, ომი გეხებაო! რომ მომკლან, რა ვქნა მერე? ვინ დააბრუნებს იმხელა ვალს. მიაღებინა ჩემ ცოლს...

— რა გინდა, კაცო, შენ, რომ შეგეჭამე ცოცხლად? — ეკითხება მონუნუნეს ვილაც ზორბა აღნაგობის ავტომატიანი წვეროსანი.

— როგორ თუ რა მინდა?

— უნდა გადაგადგოთ მაინცდამაინც ფანჯრიდან? ვერ გავიგე, შენთან ერთად გინდა, ვიტყვი, თუ როგორაა? — მიაქვს ავტომატიანს სახე ლურჯსამხრეებიანის სახესთან.

ლურჯსამხრეებიანი ერთბაშად პატარავდება და ისუსება.

— ჯერ იმ კაცის დედას შევეცი, სამსახურში მონყოფაში ფულს რომ გადაიხდის და ამ ფულის ამოღებას სხვისი გაუბედურებით დააპირებს! მერე იმ სამსახურის დედაც მოვტყან, ასეთი ადამიანის სამსახურში მიღებაში ფულს რომ აიღებს! და მერე კიდევ იმ ადამიანების დედაც მოვტყან, ვინც ასეთ კაცს თავს დააჭერინებს და მყუთს აიხვეს! — შეღრიალებს ავტომატიანი ლურჯსამხრეებიანს სახეში. ის შეშინებული სახით მიჩოჩავს უკუსვლით და სულ მალე საერთოდ გვეკარგება.

— სიცოცხლე იყოს! — ვამბობ მე, მათარიდან ყლუპს ვსვამ და ზედ შავი პურის ნატეხს ვაყოლებ. სითხე ნებინად მღვრება და მინაწილებს სხეულში: მათობს და მახურებს. მერე ხახვს ვკებ და თვალები ცხარე სუსხით მეხორკლებს.

— სამედიცინო სპირტი! — ამბობს მათარის პატრონი, — გაზავებულია და დაყვანილია სამოცდათორმეტ გრადუსამდე, თორემ დაგვაცენებდა ყველას ოთხზე! კე.

— აგერ პამიდორი გამისინჯეთ! — ნევს პამიდორიან გაზეთს ლოყებლად აქა პოლიციელი. გარშემო მსხდომები თითო-თითო ნაჭერს ვიღებთ, — ჩემი ხელსინისაა. წამოსვლისას გამოვაცოლე ხელს. ვისთვის დამეტოვებინა. ცოლი მე არ მყავს და შვილი. მარტოკაცი ვარ... დალპებოდა უჩემობაში. ამოვივსე ვიბები. სასუქსაც არ ვუკეთებ. შავ-მინა ზოსტანი მაქ და თავისით ხარობს...

სალონში უცებ ჩოჩქოლი იწყება.

— რა ხდება? — ისმის აქა-იქიდან. ყველანი ფეხზე დგებიან და ფანჯრებს სახით ესრისებინან.

— გვესვრიან განდონები!

მე უახლოეს ფანჯარას ვეკვრი და ვხედავ ქვემოდან მომავალ პატარა თეთრ ნერტილს, რომელიც დიდდება, გვიახლოვდება, თან უქნიდან თეთრი კვამლი გასდის. სალონში ზმუილი ისმის. ყველა პირმოკუმული ზმუის. ალბათ მეც ვზმუი.

კვამლი ძალიან ახლოსაა. თითქოს ალაფერია ჩვენამდე დარჩენილი, რომ ისევ დაბლა უხვევს და ძირს ეშვება. სალონს შვებანარევი გმინვა სცდება.

— ვერ მოგვევდნენ!!!

— სალოლ, პილოტი!

— გადავრჩით!

— კიდევ მოდის! — ყვირის ვილაც.

ისევ ფანჯრებს ვეკვრით. იგივე მეორდება. ისევ ზმუილი. ისევ გმინვა.

— მესამე გამოუშვებს!

— ანუ, დროზე, პილოტი!

— ააააა...

\*\*\*

აეროპორტის ალყაფთან ჭაობისფერი უტენტო „ვილისით“ ორი მხვდებიან — ჩემთვის შორიდან ტელეფონით ნაცნობი სამხედროფორმიანები.

— პეტრო! — მიწვდის ხელს უფრო მალაი და წვეროსანი.

— სევასტრი! — შესალმება მეორე: დაბალი, განიერი და ხისფეხა.

მაინც კაი ხნის უნახავებევით თბილად ვეხუტებით ერთმანეთს.

— ამ სიმაღლე სულ არ მეგონე, ვასა! — ამბობს პეტრო და სევასტრის უყურებს, — რა თაობა მოდის — ზაიბის, ჩემბერლენი ისვენებს!

— ეგ ხომ გაფრინდა? — უკვირს სევასტრის.

— ის ჩელენჯერი იყო... — პასუხობს პეტრო და თვალს მიკრავს.

უცებ ვემშვიდობები თვითმფრინავიდან გადმოსულ სამხედროებს და „ვილისში“ ვბარგდები.

— როგორ ვართ ომის ვეტერანები?

— შარაფ-შარაფ! — მპასუხობს სევასტრი და სანახევროდ გახსნილი სამხედრო ფარაჯიდან გადმოგდებულ ღიპს იფხანს.

ორივენი დინჯად სხდებიან წინა სკამებზე.

— თან საქმე, ვასა! — ურტყამს ხელს მხარზე პეტრო სევასტრის და ის მანქანას არა ქალაქისკენ, არამედ საპირისპირო მიმართულებით ძრავს, — უცებ მივალთ-მოვალთ... ბანდეროლია წამოსაღები სოფლიდან, — ამბობს პეტრო.

გზად ძირითადად მიტოვებული, ზაფხულის თაკარა სიმწვანეში ჩაფლული, დაღუმებული სოფლები გვეგებებიან.

— ზაზა როგორაა? — მეკითხება სარკიდან სევასტრი.

— ისევ ისე...

ხმაური მივხრივინებთ გრუნტიან გზაზე და იშვიათ ბულს ვტოვებთ.

— ახალი ხელი ხომ არ ამოსვლია? — თვალისჩაკვრით იყურება ჩემკენ პეტრო. სევასტრი მანქანას მკვეთრად ამუხრუჭებს.


— რა არი, სევასტრი?! — უკმაყოფილოა პეტრო, — მაგ ხის ფეხზე იყოფა თუ გაქ — აგერ ვარ ზალატოი ზაპასი!

— რა თქვა ეგეთი? — ვიჭმუნები მე.

სევასტრი მანქანას წარბშეკრული ძრავს ადგილიდან.

კვლავ ნელა მივხრივინებთ.





**ჭაობის კაცი**

ნესტია ყველგან: ლოგინზე და სანერ მაგიდაზე, ფანჯრის მინებზე, თაროებზე, ჭალზე, ხალიჩებზე...  
გარეთ: მინაზე, ხეებზე და სახლის სახურავზე...  
ყველგან ნესტია. ზამთარ-ზაფხულ ტანზე მენებება სველი პერანგი. და სველ ცოლ-შვილს სველი მიფუნჯები, რომ მშრალი ძილი გამოვიხმოთ სველი წყვდიადიდან, ისიც სველდება, ყოველ დილით ძილსაც ვწურავთ ხოლმე.

ჟამ! ცეცხლს არ ვანთებ, რომ არ გავშრეთ, ბუხარი დავანგრე, იმ აგურებით, კაკლის ძირში, აუზი ავაშენე, სადაც იხვები და ბავშვები ერთად დაცურავენ.  
ჟამ, ქაი დედა! არც მზე მიყვარს, თავისი მცხუნვარებით ყველაფერს ახმობს, მთელი ეზო ისლით მაქვს დახურული.  
ჟამ, ქაი დედა! არასოდეს მინაზე არ დავნევი, რომ შენი სისხლი, შენი ხორცი — ნესტი არ ავიყოლო.

ძროხები მყავდა და თხები მყავდა, იმდენი, რომ ბოლოს სათვალავიც კი ამერია და აღარც კი ვითვლიდი, თითქმის ყოველდღე მრავლდებოდნენ, ვმარხავდი მომყოლებს ლობის გადაღმა. ცხენები მყავდა, დიდები, სიდიდით მთელ ჩვენს მხარეში პირველები, ყველაზე მაღალი ცხენები. მაგრამ ძროხებს და თხებს უყვართ და უყვარდათ მინაზე წოლა (მე — ჯერ კიდევ, მიჯდომა ბუხართან),

ცხენებს კი — ზურგზე კოტრიალი. მოკლედ, ეს ძროხები, თხები, ცხენები, თავიანთი მხურვალე სხეულებით ნესტს ისრუტავდნენ და არ კვდებოდნენ. ერთხელაც, მოხვედი, სახლში მესტუმრე გაბრაზებული. ჩვენთან, ჩვეულებრივ, სტუმრად არავინ დადიოდა, შენს ყვითელ სახედარს კუდი ვერ ვუპოვე. შენს სიახლოვეს, როდესაც არ ცივა, მაშინაც ცივა, მაგრამ არ მიკვირს, მე ნესტის კაცი ვარ.

არავინ-მეთქი, მითუმეტეს — ჭაობის ბინადარი... მთელი სიმკაცრით მოითხოვე ყველას ამოხოცვა, სამი დღე მქონდა საამისოდ, და თუ არ ვიზამდი, იმდენს იზამდი, რამდენიმე სხვა სულის დახმარებით ჩემს ხუთივე შვილს წაიყვანდი, ხოლო თუ ვიზამდი, ხუთ წელში ერთხელ თითო შვილის წაყვანას იკმარებდი... და ყველა ძროხა, ყველა თხა და ცხენი ამოვხოცე.

რომელიმე ბავშვს შენი სენი როცა შეეყრება, წამალს არ ვასმევ, გადავყარე ყველა ავგაროზიც, ცოლს ცხენის ძუით პირს ვუკერავ, რომ არ შეულოცოს. და მოთმინებით ველოდები, ამჯერად რომელ მათგანს წამართმევ. როცა წამართმევ, სანთლით გამოხილ ზენარში ვახვევ მის სხეულს, ქვას ვაბამ და ჭაობში გადავისვრი, და შინ ვბრუნდები, სადაც ორსული ცოლი მელოდება.

ყოველთვის მშვიდი, თვალუნვდენელი ჭაობი ჩემი ზღვაა, ვუყურებ ხოლმე, საღამოს მზე ტლაპოში როგორ ჩადის, მე დავამავე და ჭაობის სულებმა შემინყალებს.

აქ უნდა ვიჯდე ახლახანს მკვდარი შვილის ორმოცამდე, მის ოხვრას ყური უნდა ვუგდო, ესეც შენ მითხარი...  
უმცროსი გოგო, ყოველ დილით, ტალახის ნამცხვრებს გიცხობს, და ისევ მინდა, სიზმარში ვიყო, და უცებ გამეღვიძოს.

აქ მიდგას ისლით დახურული, ბამბუკის ჯოხებისგან შეკრული ქოხი. ორმოცი დღე აქ უნდა ვავატარო დიდ გლოვაში და დიდ გვემაში. ნახშირით მოხატული კედელი მაფრთხობს, თითქოს გუშინ, მთელი დღე, თავად არ მეხატოს ეს მზე (ჩამქრალი მზე), მის ირგვლივ სახადით მკვდარი ბავშვების ფართო ფერხული, და ათას ნაწილად დაშლილი ჩემი სველი სხეული — ჭაობის კაცი ვარ.

ქოხის ჭერში კი, ირიბად გადებულ ხემყრალას ლატანზე, შავი სატინის თითო ნაჭერი ჰკიდია იმ თითო შვილისთვის, შენ რომ წაიყვანე, ასეთი სულ ხუთია, ოთხი — ძალიან გახუნებული და ერთი — ახალი. როცა უბერავს და შიგნით ატანს ბრიზი ან ფიონი, ვწევარ და ვუცქერ, ნაჭრები როგორ თანაბრად ირხევიან, მაშინ მგონია, რომ შვილები ცოტა ხნით გამიცოცხლდნენ.

და როცა მშვიდი ამინდია, სიჩუმე, ფოთლები არც კი იძვრიან, ბაყაყების ყიყინი თუ ისმის, ვცდილობ, ნაჭრები, სულის შებერვით, როგორმე შევარხიო, ისინი ნელა და არეულად იწყებენ ქანაობას, და მახსენდება, ჩემი შვილები სულს როგორ ლაფავდნენ, თვალებით მთხოვდნენ, რამე მელონა, მე კი თავდახრილი ვიდექი, რადგან არ შემეძლო არაფრის გაკეთება...

შუალამისას უშველებელ ტივს წყალში შევაცურებ და ცეცხლს დავანთებ ზედ დაფენილ თუნუქის ნაჭერზე, ჯერ დავსხდებით და გულს ვიჯერებთ კოცონის ყურებით, დიდხანს ვისუნთქავთ კანაფის კვამლით მთლიანად გაჯერებულ ჰაერს, და როცა კვნესას მორთავენ დამხრჩვალ სულელები, ჩემს შვილებს ცეცხლზე ხელებს დავუწვავ, ჭაობის მეუფე მიიღებს. მერე, საცოდავ ბავშვებს დამწვრობას შეეუხვევ

სფაგუმის ხავსით. ცრემლს შევიკავებ, და ყელში მოწოლილ ბოლმას ჩავყლაპავ, ტივს კი უზმოდ დავძრავ ნაპირისკენ. ახავაი, გუშა! ჯანდაბას შენც და კანაფის კოცონიც! ახავაი, გუშა! ვბრაზობ, მაგრამ სულ მალე დავივიწყებ ამ სიბრაზეს, და მოვიხანჩებ, თუ გინდა შეამონმე ჩემი შენდამი ერთგულება, ყველა შვილს გავწირავ შენს გამო! რა ვქნა, ვერ შევიცვლები, ჭაობის კაცი ვარ!

ახავაი, გუშა! გულში თუ ვბრაზობ, ეს ჩემი გულია და იქ არაფერი გესაქმება, შენ არ შეგიძლია გულში ჩანვდომა, კაცის ფიქრებს ვერაფრით ამოიცინობ სხვა ღმერთებივით, შენზე ბევრად დიადი ღმერთებივით, შენს დასანახად მე ყოველთვის მორჩილად მოვიქცევი, როგორც ვიქცევი. შენს გასაგონად მხოლოდ იმას ვიტყვი, რაც გაგახარებს. დაე, გეგონოს, რაც ახლა გგონია.

ყოველ ღამე კი თვალებს ვხუჭავ, და თითქოს ღრმა ძილში ვეფლობი (მიყვარს ეს თამაში, ეს ღრმაძილობა), და ვინყებ ბორგვას, როგორც ავი სიზმრების გამსინჯავი, ამ დროს კი ვზივარ ხის ძირას და ნეკერჩხლის ტოტებისგან ვწნავ თხილამურებს ცოლ-შვილისთვის (ჩემთვის მოწონული მაქვს), მერე შენს თვალწინ, შენთან ერთად — ყველა სულის თვალწინ, ჭაობს გადავჭრით და სულ მალე გავაღწევთ სამშვიდობოს.

წარმოსახვითი გაქცევის შემდეგ ტკბილად მეძინება, და დილით ისევ ვუბრუნდები მოსაწყენ რეალობას: მონადირეებს და მეთევზეებს ვუხსნი დანვრილებით, საით სვობს წასვლა. ამბობენ, რომ მთელი დღე შეალიეს ფრინველებს და თევზების ძებნას, ხაკისფერ საწვინებში ჩაფლულ სახეებს ვუყურებ და მათზე ალბეჭდილი მადლიერება გულს უფრო მიკლავს. ჭადრამდე მივაცილებ,

და თვალს ვაყოლებ, დიდხანს ვდგავარ, განვიცდი, საშინლად განვიცდი, რადგან ისინი უკან ვერ დაბრუნდებიან, ჩასაფრებული ელოდება ჭანჭრობთან კამინა<sup>3</sup>, რომელიც მღერის, რომელიც კვნესის, და რომლის ვნებიან ოხვრას ვერავინ დაუსხლტება, კამინას გაშლილ და ცეცხლოვან თმაში თვით სიკვდილის აჩრდილი იმალება, თვალს და სულს მოგჭრის ერთნაირად მისი თმის ბრწყინვალეობა.

კამინა! ყელზე ჩამოვიკიდებ წინაკის ასხმულებს, და ჩემს დიდ სახლში გავიქცევი, ალბათ სჯობია, რომ ახლა იქ ვიყო, წურწურით გამდის ოფლი და ტანზე წასმულ ტალახს მაშორებს, გავრბივარ — ჩემი ცოლი მშობიარობს. ამ დროს საჭირო ყველა რიტუალს პირნათლად ვასრულებ. გავცქერი, როგორ შეკრა ირარო ბეგობის არწივმა, და ვარ ამაყი: ჭაობის კაცი, მეგრელი კაცი ვარ!

<sup>1</sup> ჟამი — გაციების, ჭაობის სული კოლხურ მითოლოგიაში, ჭაობის მეუფეთა იერარქიაში მეორე. ძირითადად ერჩის ბავშვებს.  
<sup>2</sup> გუშა — ჭაობის მბრძანებელი, მთავარი ღვთაება. გუშა არასოდეს არავის უნახავს თვალით ისეთი, როგორც სინამდვილეშია. მისი ამორფული სხეული ხაშმის ბოლქვებში ილანდება და ხან დამალს ხეს მიაგავს, ხანაც ნემომპალის უფორმო ვუნდას.  
<sup>3</sup> კამინა — ჭაობის სული, იერარქიაში, გუშას და ჟამის შემდეგ, რიგით მესამე. ულამაზესი არსება კაჟისფერი თმით. კამინა ჭაობში იტყუებს მსხვერპლს, რომელსაც შემდეგ გუშა ეუფლება.

**მისსური ჭარი**  
გიო გიორგაძეს

სადმე პარკში ვსხედვართ, ლუდს ვსვამთ და ვლაპარაკობთ; შენს ეზოში ვსხედვართ, მწვადს ვწვავთ და ღვინო გვიდგას;

სახინკლეში ვსხედვართ, ხინკალს ვჭამთ, არაყი გვაქვს;  
თოვლი და წვიმაში ვდგავართ, ვენევით, უბრალოდ ვენევით;  
მოკლედ და კონკრეტულად, სადაც არ უნდა ვიყოთ,  
და ვინც არ უნდა გვახლდეს, მხოლოდ მე და შენ ვხედავთ,  
მხოლოდ მე და შენ ვიცით, მხოლოდ მე და შენ ვგრძნობთ, რომ  
ჩვენს ზევით ყოველთვის საოცარი მესხური ჭერია.

ჰაერში უცებ დაეკიდება მფრინავი თეფშივით,  
თოვლისგან და თავსხმა წვიმისგან გვიცავს და გვიფარავს,  
სხვებს კი, გალუმპულებს, უკვირთ ჩვენი სიმშრალე,  
ჩვენ გვიხარია, ჩუმად ვიღიმებით. თუნდაც შუალამე იყოს —  
ნკვარამი შუალამე, ერდოდან ჩამოდის ისეთი სიკაშკაშე,  
მთელი გალაქტიკის მზეები ერთ მზედ რომ გარდაქმნა.

უბანში უფროსები ჩვენ ასე გვზრდიდნენ: თუ ვინმე, შემთხვევით,  
მხარს გაგკრავს, პასუხი მკაცრად აგებინე, მისხალი არ დაუთმო,  
მუშტს გიქნევს?! საპასუხოდ დანა მოუქნიე!  
ნიხლს გირტყამს?! საპასუხოდ ტყვია დააჭედე!  
უკან არ დაიხიო, თავი არ შეირცხვინო, ეს არის მთავარი!  
და გვალვრევიან საკუთარი და სხვების სისხლი.  
ჩვენ კი უმცროსებს ასე ვარიგებთ: თუ ვინმე, შემთხვევით,  
მხარს გაგკრავს, ბოდიში პირველმა მოუხადე, და იხიც მოგიხდის,  
სისულელეა მთელი ეგ სისულელე უკან არდახევაზე...  
ერდოდან ჩამოგვხედა მთავარანგელოზმა ურიელმა.

ძალიან მარტივად (თუ გნებავს, ბანალურად): რამდენი ვინმეა,  
თავს იმად რომ ასაღებს, სინამდვილეში ვინც არ არის,  
აქედან რამდენს უნდა, იყოს ის, ვინც არის, მაგრამ სხვების თვალში  
საკუთარ იმიჯს უფროთხილდება. კიდევ რამდენს უნდა,  
არ იყოს ის, ვინც არის, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეუძლია.  
ჩვენ კი ვიცნობდით ხალხს, ვინც ის იყო, ვინც იყო და  
არაფრის შეცვლა, მითუმეტეს — დამალვა არ უცდია.  
იცოდნენ, რაზეც მიდიოდნენ და მაინც მიდიოდნენ,  
მიუხედავად იმ შედეგისა, რომელიც მოჰყვებოდა  
მათ ნაბიჯს სიცოცხლეში, ან თუნდაც სიკვდილის შემდეგ...  
ერდოდან ჩამოგვხედა მთავარანგელოზმა მიქაელმა.

იხსენებ, სულ ახლახან, ლაშქრობის დროს, როგორ დაგვალამდათ,  
სიბნელეში გზას ვერ იგნებდით და მაინც აგრძელებდით,  
სადღაც, ახლოს, ტურების კვილი და მგლების ყმული ისმოდა,  
მბჟუტავი სანთებელით ცდილობდით, კარვამდე მიგეღწიათ,  
არ გითქვამს, მაგრამ მე ხომ ვიცი, როგორ მინატრებდი,  
ერთად თუ ვიქნებოდით, ჩვენს ზემოთ მესხური ჭერი გაჩნდებოდა,  
თავისი კაშკაშა სინათლის სვეტით, მაგრამ არ ვიყავი,  
და გათენებას შუაგულ ტყეში დაელოდეთ...  
მთავარანგელოზმა ეგუდიელმა ერდოდან ჩამოგვხედა.

გავუყვით ვაჟა-ფშაველას პროსპექტს პირველი კვარტილიდან  
თუნდაც მეოთხედმდე: რამდენი ხელგანვიღი ბავშვი და მოხუცია,  
რამდენი ახალგაზრდა, რომელიც, ვითომ, სწავლის ფულს აგროვებს,  
რამდენი მუსიკოსი, რომელსაც მუშაობა ეზარება,  
და ეს გამოწვევითი ხელები, ქუდები იმას გვთხოვენ,  
რაც მე — ღარიბ პოეტს, და შენ — ღარიბი პოეტის მეგობარს  
ცოტა გვაქვს, კარგი ბიჭები ვართ, მაგრამ არა იმდენად, რომ  
გავცეთ ყველაფერი, და სიგარეტის ფულიც არ დავიტოვოთ...  
მთავარანგელოზმა ვარახიელმა ერდოდან ჩამოგვხედა.

ვიხსენებთ პატარა გოგონას, რომელიც ერთი თვის წინ  
გარდაიცვალა, გული სჭირდებოდა, დონორი ვერ იპოვეს.  
როცა ექიმები მის ციციქნა სხეულში სეფსისს და სისხლდენას  
ებრძოდნენ, დედამისმა ყველას სთხოვა, რომ მისთვის ელოცათ.  
არ გაგვიხილეს, მაგრამ მეც ვილოცე ისე მხურვალედ,  
როგორც ცხოვრებაში ცოტაჯერ მილოცია, ცრემლით და ამბებით.  
არც შენ გითქვამს, მაგრამ ვიცი, შენც ილოცე ზუსტად ჩემნაირად,  
თუმცა ყველას და, მათ შორის, ჩვენი ლოცვაც ამაო გამოდგა...  
ორი დღის შემდეგ კი ერთი ჩვენი საერთო ნაცნობი,  
რომელზეც სხვა კი არა, მისი შვილიც არ ილოცებდა,  
თითქმის მკვდარი, ისე გამოძვრა, ვითომც არაფერი...  
ერდოდან ჩამოგვხედა მთავარანგელოზმა რაფაელმა.

ზოგჯერ ასეც ხდება: ხუთი წლის ვიყავი, როცა ერთ საღამოს,  
ეპილეფსიური კრუნჩხვა პირველად დამემართა.  
„ავი ზნე ჭირსო!“ — ჩურჩულებდნენ ზურგსუკან უფროსები,  
მათ შვილებს კი ჩემთან თამაშის საშინლად ეშინოდათ.  
გამოგიცდია, როგორია, ახლო მეგობრები რომ არ გიკარებენ,  
და მათ თამაშს, ქვაზე მჯდარი, შორიდან უყურებ?!  
მერე შემეჩვივნენ, და როცა კრუნჩხვებში ვვარდებოდი,  
თვალზე მაფარებდნენ შავ ნაჭერს, რომელიც სულ ჯიბით დამქონდა.  
თანდათან, წლებთან ერთად, განვიკურნე, ასეც ხდება-მეთქი...  
მთავარანგელოზმა სელაფიელმა ერდოდან ჩამოგვხედა.

მე ვარ ის ჩემი კოლხი წინაპარი, სავსემთვარობისას  
ეზოში რომ გავა და სავსე მთვარეს ხანჯალს მიუშვევს,  
ხო, სწორედ მე ვარ... ახალმთვარობისას ცას რომ ახედავს და იტყვის:

— თუთა ახალი (მთვარე ახალი)...  
ლორონთი, გუმახარი (ღმერთო, გამახარე)!

შენ ხარ ის შენი მესხი წინაპარი, ყველასგან მალულად  
მინის სიღრმეში მფრინავ თეფშს რომ აგებს, ნელა და მოთმინებით,  
ხო, სწორედ შენ ხარ... ახალმთვარობისას ცას რომ ახედავს და იტყვის:

— მთვარე ახალი (თუთა ახალი)...  
ღმერთო, გამახარე (ლორონთი, გუმახარი)!

მთავარანგელოზმა იერომიელმა ერდოდან ჩამოგვხედა.  
მთავარანგელოზ გაბრიელს კი არასოდეს ჩამოუხედავს,  
რადგან ჯერ დრო არ არის, რადგან ჯერ ძალიან ადრეა,

მაგრამ ოდესმე აუცილებლად მოგვაკითხავს,  
და სამივენი მფრინავი თეფშით გავფრინდებით.

**მუნი**

ამ ბავშვს მუნი სჭირს, მოერიდეთ, მასთან ნუ ითამაშებთ,  
ნურც მერხთან, გვერდით, ნურავინ დაუჯდება,  
ძალით არ იზამს, მაგრამ შემთხვევით სადმე რომ შეგეცხთ,  
თქვენც გადაგედებათ, და მერე მოგიწევთ სიარული  
აყროლებულებს გოგირდის მალამოს სუნით.

არ დაელაპარაკოთ და ისე მოიქეცით, თითქოს არც არსებობს,  
ხო, ასე სჯობია, რომ არ გაუჩნდეს იმედები,  
მიხვდეს, რომ სხვებთან კონტაქტი ეკრძალება  
და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა ესაუბროს.

ჯანდაბას, ასე იყოს: თუ მიეპარებით და სკამს გამოუწევთ  
და ეს საცოდავი აყირავდება მტვრიან იატაკზე,  
არ დაგსჯით, პირიქით — მეც ავხარხარდები თქვენთან ერთად,  
როცა დაბნული წამოდგება და ტანსაცმელს დაიფერთხავს,  
ისე ვიხარხაროთ, და როცა თვალები ცრემლებით ავესება,  
უფრო ვიხარხაროთ, და ბოლოს, როცა ბღავილს ამოუშვებს,  
კიდევ უფრო ვიხარხაროთ, უფრო და უფრო, უფრო და უფრო.

ასევე, შეგიძლიათ ფანჯრიდან ჩანთა გადაუგდოთ,  
და როცა ჩავა ამოსატანად ეს საწყალი,  
თავზე ლარნაკის ბინძური წყალი გადაასხით,  
რომელიც მას შემდეგ არ გამოგვიცვლია,  
რაც შიგნით ჩავანყვეთ ყვავილები,  
და მათმა დამპალმა, გაფუჭებულმა ყლორტებმა ააქოთეს,  
თან, შიგნით აფურთხებთ, როცა დაფისკენ მივბრუნდები.  
ხო, მიდით, გადაასხით ამ მუნიანს, ვიდრე ყარს, იმაზე  
მეტად ვერაფრით აყროლდება.


მოაკეტინეთ მუსიკის გაკვეთილზე,  
თქვენს ხმებში მისი ხმა არ გამოერიოს სიმღერის დროს,  
მართალია, ხმით მუნი არ გადადის,  
მაგრამ თქვენ რას კარგავთ, უბრალოდ ენა ჩააგდებინეთ.

ვიცი, რომ გოია არცერთი არა ხართ,  
მაგრამ ხატვის გაკვეთილზე დახატეთ ჩირქოვანი,  
საზიზღარი მუნუკებით დაფარული სხეულები,  
და ყველა კედელზე ჩამოკიდეთ,  
რომ მან ყოველდღე უყუროს.

ფიზკულტურის გაკვეთილზე მოშორებით დააყენეთ,  
რომ გადავარდნილი ბურთი მოიტანოს,  
ოღონდ ფეხით მოაგოროს, ხელებით არ შეეხოს.

ამ შაბათს, დანგრეულ ციხესთან როცა ავალთ,  
და ლექსების კითხვის მერე სუფრას გავშლით,  
ის ცალკე, ლოდზე დავსვით,  
და ვუყუროთ, პრიმატივით, მთელ ტანს როგორ იფხანს,  
თან, დროდადრო, საჭმელი გადაუგდოთ...

ეი, შენ, მუნიანო, გამოდი და მოყევი გაკვეთილი!









მანანა ჩიტისვილი

ყოველ ტილოზე ხელახლა იშვით  
ღვთიური ნათლით, მხატვრის გონებით,  
ქართული გენის ეშხი და ჯიში  
ხატით სულ სხვაგვარ თავმონონებით.

როგორ მაღალი ზეცა დაგვხურეთ,  
რა ფერებს შლიდით მზეში ხნულებად,  
თქვენ ახლა დროჟამს კი არ მსახურებთ,  
დროჟამი თვითონ გემსახურებათ.

მნამს, დიდოსტატად უფალს ენებით,  
არ ჩამეთვლება ეს თქმა მისნობად...  
ხრავენ სადავეს თქვენი მერნები  
და კარს უმტკრევენ მარადისობას.

რა უცხო ფერის ყოფილა

რა უცხო ფერის ყოფილა,  
რომ თქვეს —  
„სანუთრო ბინდია“,  
ასე მგონია, მზის სხივი  
სულ ჩემს ერდო-ბანს ჰკიდია.  
შენს გზაზე ვარდი კოკობი,  
წყალზედაც ოქროს ხილია,  
ნამია ჟამი შეყრისა,  
გაყრისა ბევრად დიდია,  
შენსკენ მოვილტვი იმგვარად,  
სამოთხეში რომ მიდიან.

\*\*\*

თუ გსურს, იტირე,  
ცრემლის მდულარე შადრევენები  
ჩამოსკდეს თვალებს,  
ოლონდ ისე, რომ  
არაფერი შეგიტყოს გულმა.

რას ინატრებდი

ერთხელ,  
მზე რომ ცის დასავალს ნახავს,  
მინყდება ქარის  
მიეთ-მოეთი,  
გამოიხურავ კარებს და  
ნახვალ,  
განა უბრალოდ,  
განა დროებით.

და როცა შენს გზას  
გაჰყვები კენჭად,  
სევდა ნისლივით  
გულს თუ მიება,  
რას ინატრებდი  
ყველაზე მეტად,  
პატიებას, თუ  
არპატიებას.

გახსოვს, მიყვარდი

გადავიღალე  
სიყვარულის ამდენ დათმენით,  
ვარ დადალული  
მარტოობის საშინელ დამლით,  
იქნება ჯობდა,  
რომ არასდროს მეთქვა სათქმელი,  
ან იქნებ სულაც  
სიყვარულის გამხელა არ ღირს.

კიდევ კარგა ხანს  
ეს ტკივილი, ალბათ, მეყოფა,  
დარჩენილი ვარ  
ამ შფოთიან ქარის ამარი...  
მე სიყვარულში  
არც არავინ გამადელოფლა,  
არც საოცნებო  
არ ამიგეს კოშკი ყამარის.

გახსოვს მუსიკა, —  
უნაზესი შრიალი ხეთა?  
გადაუარა ჩვენს ნაკვალევს  
შემდეგ ბალახმა...  
ჩემი იყავი,  
არ ყოფილხარ თუმც მამინ ჩემთან,  
ახლა ჩემთან ხარ,  
მაგრამ მაინც ჩემი არა ხარ.

გადავიწყა  
სულმა უკვე სუყველა ლოცვა,  
ამოუცნობი სურვილები  
გაკრთენ ბაგეზე,  
გახსოვს, მიყვარდი,  
არ იყავი ჩემს გვერდით როცა,  
ახლა ჩემთან ხარ  
და სიყვარულს სხვაგან დავეძებ.

გახსენება — გულანშარო

ღამდება, მძიმედ ეხვევა ფიქრი,  
თავსასთუმლადაც ბევრჯერ მდებია,  
ასე მგონია, ამ მთების იქით  
გულანშარო და ხანაგებია.

ჯერ ცაზე ცისკრის არ ჩანს სიალე,  
ხეები ჰგვანან ნვიმებით ნაბანს...  
სარკმელთან ცაცხვი კი არ შრიალებს,  
ვილაც მიყვება ნესტანის ამბავს.

ოქროდ და ქარვად ჩამოურიგეს  
ალვის ფოთლები ქუჩებს ქარებმა,  
ნეტავი ქრის, თუ მიჯნურისაკენ  
სულსწრაფ ჭაშნაგირს მიეჩქარება.

უსიყვარულოდ ვინ თქვა ადვილი  
ტრფიალი წამით ანდა მარადი,  
დიდვაჭრის ზღურბლზე, ვით ავთანდილი,  
სერზე უნდომლად ნისლი გადადის.

დღემდე ხომ ვერვის ვერ ავუსენი,  
შენდამი ტრფობით ვით ავიცერი,  
და უსახური, როგორც უსენი,  
მინდვრიდან კვრინჩხის ბუჩქი მიცქერის.

დრო ისევ ისე შორ ფიქრებს ართავს,  
ღმერთო, რამდენი მოხდა იმ ხანად...  
ვიცი, რა მინდა, ხანაგის კართან  
რას ვეძებ, ან აქ რამ მომიყვანა.

გულზე შენს მიერ დაჩნულ ნაჭდევს  
ოცნება დღესაც თავს დაჰფოფინობს,  
ჩამოუფდები სუფრასთან ვაჭრებს,  
იქნებ შენზე რამ ვაამბობინო.

მაგრამ დრო წყლულს ვერაფრით მიხვევს,  
სად ჩემი დარდი და სად — ესენი...  
ამდენ ხანს, რისი ქაჯეთის ციხე,  
მაგ გულის კარიც კი ვერ შევხსენი.

არ ჰგავს ღამის ცა უნდოს და უძლურს,  
ლურჯად მღელვარებს, როგორც ამ დილით  
და მოჩანს მთვარე — ფატმანის ძუძუ,  
ღრუბლის უბიდან ამოვარდნილი.

პირ გაბამხილა

არც ბალი მქონდა ვარდისა,  
არც ყანა — ნადით სამკალი,  
რა მრჯიდა, ასე უღმერთოდ  
რა თავი შემოგაკალი.

როდღა მახსოვს ედემი,  
სურნელი შროშნის მინდორთა,  
მე არც ის გველი მინახავს,  
არც რადმე ვაშლი მინდოდა.

და თუმც არასდროს გაჩვენე  
სახე ცრემლებით ნალტობი,  
იცი, რა ხნიდან მიყვარდი,  
იცი, რა დროდან გნატრობდი.

სურვილით ჩამოგვიოდი  
ქარით გაპობილ ნაპრალეებს,  
ვერ გაგემხილე, ყოველი  
გველს და ვაშლს გადავებრალე.

ნეტავ რა ბედი დამწერეს,  
გამთალეს ვისი ნეკნიდან,  
ჩემი დაშლილი დალალი  
ვის მკლაზე გადმოეკიდა.

მერე კი ზეცას შევტირე  
ცრემლით დალორთხილ სახეთი,  
მსურდა და... ვერ დაგარჩინე,  
არ გინდოდა და... ნახვედი.

არც ბალი მქონდა ვარდისა,  
არც ყანა — ნადით სამკალი,  
რა მრჯიდა, ასე უღმერთოდ  
თავი რად შემოგაკალი.

გზობას ქსანზე

წელსაც ვერ მოგივალ ბზობას,  
გული გახელდება ძგერით,  
როგორ მოვიხდინეთ ყმობა,  
როგორ გავილაღეთ მტერი.

წყალო, პაპიჩემის ცრემლო,  
ნისლო, ნაფთილარო დედის...  
ჩექმით ჩათელილი მდელი,  
ძალით ნაჭერილი ღვედი.

ცაო, შენც თუ ვერას გვშველი,  
თუ დროც უკულმართად მიგვდის,  
მინაჩაბლუჯული ხელით  
თვითონ შემოვიკლავ სიკვდილს.

უფალს ენებით

ლევან ცუცქერიძეს

თქვენ ხატავთ ცხენებს,  
მათ ჟინს და თრთოლას,  
როდი გაამბობთ ზღაპარ-არაკებს,  
ქართულ სივრცეში ქართულად მსროლოავთ,  
თითქოს ქართულად მოლაპარაკეთ.

თქვენ უნმინდესი სიონი ხატეთ,  
ვინ ინატრებდა ან კი უკეთეს...  
და განა მარტო სალოცავ ხატებს,  
იქ თქვენს მარჯვენასაც სანთელს უნთებენ.

იის თვალებით ბრწყინვალეებს ეხი  
და ლურჯი ზეცის ფერს იმეორებს,  
გვერდიგვერდ მსხდომი მოყმე და ვეფხვი  
როგორ შვენიან ერთიმეორეს.

სიტყვით თქვენს ნაღვანს ვერაფერს ვმატებ,  
ძარღვებს ისედაც ჟრჟოლად დაუვლის...  
თქვენ თქვენში მყოფი მამული ხატეთ  
თავის ხიბლით და დღესასწაულით.



**მოვალს უამი**  
გონა ჯავახიშვილს

არხოტს გაჭედო ხმალო,  
ალვანს თუშის დაფერილო,  
ომში წასულ ძმათა მაცნევ,  
ალაზნის პირს გაფრენილო.

გორდავ, ირმის რძით ნანართობო,  
ვადაზე რომ ელვა დაგდის,  
ასე როდის დამიჩლუნგდი,  
ასე როგორ დამიბლაგვდი.

მოდოდა სისხლის წვიმა,  
განა ვაჟღერებდით ებანს,  
თუ მამული დავიკარგეთ,  
ცად რა პირით მიგვესვლება.

ანდა მკლავი მამაცური  
თუ მტრის სისხლით არა ვღებეთ,  
მამა-პაპის წმინდა ძვლები  
საფლავს არცკი შეგვიღებენ.

რომ ვერც ვერა გაეჭედეთ და  
რომ არც არა დაიფერა,  
მტრისას, თუკი შინ მოყვარემ,  
გარეთ უცხომ დაიჯერა.

შენ ნუ კრთები, ქართველის ცაო,  
მგლის მუხლს გამოვიბამთ ისევ,  
მცხეთას როგორც ვარისხებდით,  
ზარებს კვლავაც დავარისხებთ.

ღვთის შენევნით მოვალს უამი,  
ფერი ვაცვლევივით დუშმანს,  
ხმალი, ხევსურთ გაჭედილი,  
ალვანს დაგვიფეროს თუშმა.

**ბარაკონი**

მივდიოდით გზა-გზა ორნი,  
გადავლო ტყეზე ავდარს,  
კი არ იდგა ბარაკონი,  
ღრუბელ-ღრუბელ მიფრინავდა.  
მთები მთებთან ჩანაკონი,  
სურნელება ცაცხვის ქროდა...  
ისე ჩანდა, ბარაკონი  
თითქოს ციდან იწყებოდა.  
ყელში ცრემლის ბურთი მიჭერს,  
თვალი ჰგავდა ლელით მთოვარს,  
ყველა ლოდი ჩუქურთმისმჭერელს  
ყაისნალით მოექსოვა.  
მივყვებოდით შარას ორნი,  
გადავლო ქარს და ავდარს,  
კი არ იდგა ბარაკონი,  
ღრუბელ-ღრუბელ მიფრინავდა.

**მადლობელი ვარ**

შემოეძარცვა ფერი ბუნებას,  
ქარნი მწვერვალებს ნისლში მარხავენ,  
მე იმ ასაკთან მსურს დაბრუნება,  
სიყვარულს რომ ვერ დამიძრახავენ.

ზოგჯერ უფამო ბინდი ვიყავ და  
ხან მზის სხივებად ცას გავუხარდი...  
მადლობელი ვარ, რომ არ მიყვარდა,  
არ მიყვარდა და მაინც ვუყვარდი.

ვინც გაუვალა გზები გაიგნო  
და გამოუცნობ სევდით ისევდა,  
ვისაც ვუთხარი და ვერ გაიგო,  
ან ვინც უთქმელად მიხვდა ისედაც.

ვინც ოცნებებშიც კი ვერ დავტყე,  
ზღაპრის მოვასხი ჭრელი მანტია,  
ვისაც შევუნდე და ვაპატიე  
და ეს შენდობა ვერ მაპატია.

ჩემს გზას სულ მუდამ დელგმა ეძებდა  
და მაინც დარი მქონდა იმედად,  
ვინც უნებურად გავიმეტე და  
ვინც ვერასოდეს ვერ გამიმეტა.

შემოიძარცვა უკვე ბუნება,  
ქარნი მწვერვალებს ნისლში მარხავენ,  
მე იმ ასაკთან მსურს დაბრუნება,  
სიყვარულს რომ ვერ დამიძრახავენ.

\*\*\*  
საკუთარი რეალური პორტრეტის  
დახატვა თუ გასურს,  
მეგობარს ჰკითხე.  
მტერმა იქნებ დაგინდოს იქნებ,  
მეგობრები კი  
არასოდეს შეგიბრალებენ.

**ხვალ გაგიხსენებს**

ონავრობს მარტი,  
ბუჩქის ძირას ენძელებს ნაბავს,  
დროის ქარებმა  
კვლავ უღმობლად მოგითარეშეს,  
პოეტი იყავ,  
ტანთ ფოთლების გემოსა კაბა,  
ვერ წერდი ლექსებს  
უსისხლოდ და გულის გარეშე.

გიყვარდა, გძაგდა,  
მინიერი იყავი რახან  
და მუხლს უყრიდი  
უძვირფასეს წლებს და სახელებს,  
და ეს მამული,  
გულგრილობის ნისლში რომ გმარხავს,  
ხვალ გაგიხსენებს  
და ცრემლებით წამოგაყენებს.

**ქანის ხაოზის სოფელში მართლმადიდებელი  
92 წლის დედას**

ვინ გრძნობს, რა მწარე ტკივილი მახლავს,  
გამქალა ჩემი ყრმობის სოფელი,  
დედი, როგორი მარტო ხარ ახლა,  
არც საღმის მთქმელი, არც მეზობელი.

დედი, რა მარტოს გათოვს და განვიმს,  
თვალში სინათლემ როგორ იბინდა,  
კიდევ კარგი, რომ ვერ ხედავ, კარნი  
ბალახი როგორ ამობიბინდა.

მკლავს,  
ველარ ვითვლი დაჩნეულ ბზარებს,  
გულმა საშველი საით მონახოს...  
დედი, ვიღაცა უცხოა გარეთ  
და ოღონდ კარი არ გამოაღო.

**დავაპვიანეთ**

მზე მამულისა, უსწორო,  
ჩაქრა, ჩანავლდა კრწანისთან,  
ქართველისთვის თავის დადებაც  
იმ დროდან გადაგვავიწყდა.

ნეტავი ახსოვს რალამდენს,  
ვისი ჯიშის ვართ, ვის გორის,  
როდემდე ვიამპარტავნოთ  
ბასიანით და დიდგორით.

ის ცეცხლი,  
სულ რომ გვდაგავდა,  
ახლაც ისევ გვწავს, ბრიალებს,  
ძმანო, მახვილის ალება  
რა ძან დავაგვიანეთ.

**არავის უთქვამს**

ზოგს დარდი,  
ზოგსაც ვარდი მლუარე,  
დროს ხარკს შენ მუდამ სისხლით უხდიდი,  
ხან გაგონებდნენ —  
„თავს მოუარე“,  
ხან გარიგებდნენ —  
„თავს გაუფრთხილდი“.

ვერავინ შეცვლის ბედის ფანტომებს,  
ცაზე ტყდებოდნენ მთვარის მშვილდები...  
არავის უთქვამს — „მე გიპატრონებ“,  
არავინ გითხრა — „გაგიფრთხილდები“.

ჟამი კვლავ თავის ნებაზე ბრუნავს,  
მთაზე გადადის უცხო ფრინველი...  
შენ უკვე იცი, ეს ვითომ ზრუნვა  
რა უაზროა და საშინელი.

ბედი სხვას რაღას გიზამს უარესს, —  
ძველ მოგონებებს შერჩი მარტოდენ...  
და კვლავ იგივე —  
„თავს მოუარე“,  
კვლავ იმგვარივე —  
„თავს უპატრონე“.

\*\*\*  
მე მწუხარებით გამელიმა,  
როდესაც მკითხე —  
„ალბათ როგორი ბედნიერი  
გაგხადათ ლექსმა“...  
პოეზია ხომ  
აუხდენელ ოცნებების და  
აღუსრულებელ სურვილების  
სასაფლაოა...

**საითკენ წავალ**

უშენოდ ყოფნა  
მომისაჯა არსთაგამრიგემ,  
სიზმრის მინდვრებიც  
ეკლიანი ტერფებით ვთელე,  
წუთისოფლიდან შენს გარდასვლას  
თუ არ გავიგებ,  
რა დამშვიდებით მივბარდები  
განგების ხელებს.

ვის გავემხილო  
თუნდაც სიტყვით ანდა ფიქრებით,  
რომ უჩუმარად  
სულ დათმენის ზღვარზე ვეკიდე,  
რომ სულ ერთია,  
თუ ჩემს გვერდით შენ არ იქნები,  
საითკენ წავალ,  
სამოთხის, თუ ჯოჯოხეთისკენ.

\*\*\*  
სიძულვილის ენა ერთია,  
ერთნაირად ჩაესმის ყველას,  
სიყვარულის ენა კი  
მხოლოდ იმ ორისთვისაა  
გასაგები.

**საით მიდიხართ, ღრუბლებო**

საით მიდიხართ,  
ღრუბლებო,  
რომელ მთას  
გადადიხართო,  
იქნებ  
არც უნდა მეკითხა,  
იქნებ  
თქმაც უნდა ვიხატო,  
მაგრამ ვხედავ, რომ  
ვინც გიყვართ,  
ჩემებრ  
თქვენც არ უნდიხართო.

\*\*\*  
ინდი-მინდი,  
ინდი-მინდი,  
გზა-გზა მოყვავილე შინდი,  
ვერც სასხვისოდ გიმეტებდი,  
არც საჩემოდ არა მინდი.  
რას გაუგებ, ეს სანუთრო  
აღმართშიაც თავქვე მიდის,  
მახობელს და იფქვს ვინ ჩივის,  
ალარ გრჩება არცა მინდი.  
რომ გგონია, გაგიტენდა,  
თვალში გენვეთება ბინდი,  
სიცილ-სიცილ მოფრენილი  
რა ცრემლებით გამიფრინდი.

**წეროს წერილი**

„სად მიხვალთ, ზეცის წამწამნო,  
მყვიანა გუნდნო წეროთა“.  
გოგოცა არაბული

შენს ხსოვნას  
ჟამი როგორ მონისლავს,  
სულ სიყვარულის  
იყავ ხიზანი,  
გაზაფხულზე და შემოდგომისას  
წეროს წერილებს  
გამოგიგზავნი.

შემოილენე,  
ვით მძიმე ხუნდი,  
სანუთრო,  
თითქოს დიდხანს ატარე...  
გახსოვს,  
მყვიანა წეროთა გუნდნი  
ზეცის წამწამებს  
რომ შეადარე.

ეს ღამე  
შენზე ფიქრებს მომისევს,  
ჩემს ნახვას  
ნეტავ რისთვის ლამობდი?..  
და მოწყენილი,  
როგორც ონისე,  
ჯუთის ჭიუხში  
მთვარე ამოდის.





### მანანა ჩიტვილი

#### თუკი ვინმე ყივჩაღად გვექცა

„მაგრამ ვინც ვიძმეთ,  
ძმა არავინ არ დაგვიძახა,  
ყივჩაღად დარჩა,  
ვინც მუხრანთან დაგვხვდა ყივჩაღად“.  
ბალათერ არაბული

როდისღა მივხვდეთ, რას გვიპირებს ეს ლურჯი ზეცა,  
ყრუ ნასოფლარებს ააჩქამებს ქარების გლოვა,  
დასტურ, ვინც ვიძმეთ, ხომ სუყველა ყივჩაღად გვექცა,  
ღიაცი რაა, ნასისხლარი მამული გვთხოვა.

რაც უნდა, მიაქვს, ხან უფასოდ და ხან ნისიად,  
ანკი თხოვნისთვის დრო რად უნდა გახარჯოს ფუჭად,  
პურიც და ქალიც რა ხანია უკვე მისია,  
შემდავებელიც არსაიდან არავინ უჩანს.

მუხრანის სამზღვარს სახლობს ახლა ყივჩაღი იგი,  
შემოიმტკიცა, მოიზღუდა ქართლის ვაკენი,  
და როგორც უნდა ვიმდულაროთ სტრიქონთა შიგნით,  
ვერაფერს შევცვლით, თუ გზას ხსნისას არ მივაგენით.

ყავლი გასვლია სიმძიმის და დროებას მოთქმის,  
რაც გვარგო ცრემლვამ,  
ჩვენივე თვალით უკვე ვიხილეთ...  
ნისლია მცხეთას, თუ ირაკლის ხმალს ასდის ორთქლი,  
არაგვი მოჰქუხს, თუ გორგასლის ცხენი ჭიხვინებს.

არც როდის არავინ არ გვეყოლია მწედ და ზიარად,  
მხოლოდღა სიტყვა და ის სიტყვაც უმეტეს უქმი...  
და ახლა ამ ლექსს მარტოოდენ ლექსად კი არა,  
როგორც ცხენ-კაცის მკვეთელ მახვილს,  
იმგვარად გჩუქნი.

ხვალზეთ მაინც რომ საჩვენოდ ინათოს ზეცამ,  
ღვთის სამსჯავროზე სამართალმა თავისი ჰპოვოს,  
რომ სამერმისოდ, თუკი ვინმე ყივჩაღად გვექცა,  
ვერც მამული და ვერც ღიაცი ვერასდროს გვთხოვოს.

#### რამდენჯერ უნდა დავლაშქო

სულ, შე უფლის ნაკურთხო,  
ნეტა გამიძღვებ რალამდენს,  
სულ რომ უჩემოდ მოთქვამ და  
სულ რომ უცრემლოდ ღაღადებ.  
ნეტავე მიმალნევიან  
ერთხელ იმ ედემ-ბალამდე,  
ჩემ ბედის წერა-მწერალთა  
იქნებ იქ მაინც ვნახავდე,  
ერთი სიცოცხლის პატრონი  
რამდენჯერ უნდა დავლაშქო.

#### რას ვიფიქრებდი


თუ ვინმე თვლიდა —  
„მე ვარო“,  
მეც იმათგანი ვიყავ და  
მეგონა, ნუთისოფელი  
სულ ჩემს ნებისად მიმყავდა.  
ვერცავინ გამიბატონდა,  
ვერცვინ ყმად ვერ გამიხადა,  
მტრისა მტერობა შემეძლო,  
ძმა ძმის უმეტეს მიყვარდა,  
რას ვიფიქრებდი,  
სანუთრო  
შენს ფეხითთ გამომრიყავდა.

#### შეპირაზალა

ღამდება...  
შორით აელვარდა მთვარის ღამპარი  
და ცა ბალდადის  
ვერცხლისფერი შუქით განაზდა,  
ათასი არა,  
ერთადერთი მითხარ ზღაპარი,  
შენ მიაბე და  
მე მოგისმენ, შეჰყვარაზადა.

ხედავ, სანუთრო  
რა სიავით გვანვდენს საცეცებს,  
თითქოს სიკვდილი  
სიცოცხლესთან ვეღარ დაზავდა...  
ჩამომიჯექი სასთუმალთან,  
ჩადრი დაკეცე  
და მთვარის გზებით  
ნამიძეხი, შეჰყვარაზადა.

ჩემი თვალები  
შენი ზაგის სიჩვილეს სვამენ,  
ბრძენი ვაზირი დააჩუმებს  
თარს და საზანდარს,  
ათასმეერთე ინურება  
ზღაპრების ღამე,  
ათასმეერთედ შეგიყვარებ,  
შეჰყვარაზადა.



ირინა ტაბალუა

#### კეთილი დღე

სიტყვა „ბოროტება“ მდოგვი მეგონა,  
რომელსაც, ბავშვობიდან,  
ენის წვერით ვუსინჯავდი გემოს  
და ნამსვე გადმოვანერწყვებდი.  
გაგიკვირდებოდა და  
სოსისები მე საზამთროსთან ერთად მიჭამია.  
აგე, იძინებს გაზაფხული, თითქოს არც გაულვიდია...  
თრომბივით შედედებული ჰაერი და,  
აქა-იქ, ალვების ცარიელი თავის ყანყალი...

როგორც იქნა, თავს ვუთხარი:  
— ჰეი, შენ, ქაჯანავ,  
შეხედე,  
შენს მიერ შარშანწინ დარგულმა ალუბალმა  
როგორ გამოგინოდა ნაყოფი,  
მიდი, ტუჩები მოითხუპნე,  
აკოცე ყოველ გამვლელს და  
გადასდე შენი სიტკბოება!  
არადა,  
ჯერ კიდევ წინაა ბევრი ცუდი დღე. —

ამ ფიქრში გართულს  
ჩრდილოეთის კედლის ნიშიდან  
ო. ჭილაძის მომღიმარი სურათი მიმზერს.  
მე ვამბობ:  
— დასრულდა ეს ერთი კეთილი დღეც.

#### როგორ გავიდე გაზაფხულიდან

როგორ გავიდე გაზაფხულიდან?!  
შებინდებამდე მასწავლე სისხამ!  
უხერხულია შინ ყოფნა ჩემი,  
როცა შენს ტირიფს ასველებს წვიმა,  
ახლაც მაშინებს ყმული ძაღლის,  
არადა, ვიცო, არავინ კვდება.

ძალიან შორს ვარ სიყვარულისგან,  
არა ვარ კარგად,  
ღედა მყავს ახლოს  
და, როგორც თოთოს, მარწევს ძილისპირ.

არ მახსოვს, რა დროს გაქრა ზამთარი,  
ეს იყო ალბათ დიდი ხნის წინათ,  
და ახლა, როცა უარყვავი მთელი ცხოვრება,  
რად ამიყვავა ყველა ყვავილი?!

რა ვუთხრა ჩემს მკვდრებს,  
რა ვუბოდიშო ასე შორიდან?!

რა გითხრა, სისხამ,  
ნუხელ ჭოტებიც ამოუხოცავთ,  
არც ჩამქრალ თონეს არ ამოსდის ხორბლის სურნელი,  
და არც ვალივით მიბრუნდება ძველი სიკეთე.

როდემდე ასე ეს უმეცრება,  
მტრობა და ღვარძლი ადამიანში?!  
და მაინც ვლოცავ, წყევლას ლოცვა სჯობს.

ალარ გათავდა ეს ემოცია,  
დროა, რომ დავსხდეთ,  
გიაბბო, ერთხელ, მშვიდად ამბავი  
ჩემი სპეტაკი სულის შესახებ,  
გარყვნილ ხორცზე და პოეზიაზე.

ვნვები და ვიხდი არეული  
გასულ დღესა და უალერსობას.

ჩემს ფერხითთ ახლა დალლა მხოლოდ,  
ჩემს თავითთ — მხოლოდ ცილისწამება.

ვერ ვუძღვებ, სისხამ სულ სხვა ქალი ვარ,  
სხვაგვარ ყადის, უცხო ნათების.

როგორ გავიდე გაზაფხულიდან ღამენათევი?!

#### მინიმალისტურები

\*  
რა დაგანახოთ ამაზე მეტი?!  
გული მაქვს,  
სისხლი მაქვს,  
მინაც მაქვს ჩემი ძვლების წილი.  
არც თქვენი პური მინდა,  
არც თქვენი ნაფერები კაცები,  
მხოლოდ იმის შიშილა მრჩება,  
ხვალ ან ზეგ კალამს ფუნჯი შეეუნაცვლო  
და ყველაფერი გავაფუჭო.

\*  
შენც ხომ გაიგონე ის ხმა?!  
არც დედისას ჰგავდა,  
არც თოფისას,  
ვერც დაგვეწია, ვერც დავემალეთ.

\*  
შენ თუ ჩემზე ერთით ნაკლები ცოდვა გაქვს,  
რა გახარებს?!  
ღმერთთან სასაუბროდ  
შენზე ერთით მეტი დრო მე მრჩება.



Contra Felicem Vix Deus Vires Habet  
იღბლიანთან გამკლავება  
დემეტრე კი უჭირს

\*\*\*

ბლექ ჯეკი მარტივი თამაშია — თამაშობ 4 დასტით, რომელიც ტუზი ან 1 ქულაა ან 11. 10-იანიდან მეფემდე მოყოლებული ყველა ბანქო 10 ქულაა, 9-იანი 9 ქულა და ასე 2-იანის ჩათვლით. მიზანია, შენი ქულა მაქსიმალურად ახლოს იყოს 21-თან. შესაბამისად, საუკეთესო კომბინაცია ტუზი და ნებისმიერი ათქულიანი ბანქოა. შენი ბანქო უნდა ჯობინდეს დილერისას — თუ შენი ან დილერის ქულა 21-ს ცდება, ჩანვად ან ავტომატურ ნაგებად მიიჩნევა ორივესთვის. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ნებისმიერი მოთამაშე გეტყვით, რომ კაზინოში მოგების ყველაზე დიდი შანსი სწორედ ამ თამაშში გაქვთ...

გუშინ მოგებული კუპონების ორი შეკერის სანაცვლოდ დილერმა 40 ცალი 500 და 20 ცალი 1000 დოლარის ღირებულების ჩიპი მომცა. კადრები უკვე ისეთი სისწრაფით მოძრაობდა, დათვლა გამიჭირდა, თუმცა ზუსტად ვიცოდი, არ მომატყუებდნენ. პირველ ფსონად მხოლოდ ერთ ხელზე პრივატის მინიმალური ფსონი 1000 დოლარი განვთავსე. მე მეფე დამირიგდა, დილერს — ათიანი, ხოლო მეორე კარტად შევიდანი მივიღე. 17 კარგი შედეგია და კარტი აღარ ამიღია. დილერმა მეორე კარტად 9-იანი გახსნა და 19-ით გაიმარჯვა. გაუტყინე და შემდეგი დარიგება 2 ხელზე, ეგრეთ წოდებულ ბოქსზე, დავდე — თითოზე 1000 დოლარი. სათამაშო თანხა ჯერ კიდევ ბლომად მქონდა და ერთ ნაგებულ ხელზე დიდად არც მინერვიულია მიუხედავად იმისა, რომ 1000 დოლარი ჩემს ყოველთვიურ შემოსავალს ორჯერ აღემატებოდა. შემდეგ დარიგებაზეც ორივე ნაგებე. რამდენიმე ამგვარი მარცხის შემდეგ ჩემი ფსონები საგრძობლად გაიზარდა და ღირებულება და ხუმრობის ხასიათზეც ნაკლებად ვიყავი. 40 000 დოლარიდან დარჩენილ 10 000 დოლარს დაეხედე და ერთ ფსონად დავდე. დილერმა ტუზი დამიღო, თავისთვის კი — რვიანი. მეორე კარტად 9-იანი შემომთავაზა. 20 8-იანთან ძალიან კარგი შედეგია. გახარებულმა ვუთხარი, რომ კარტი აღარ მინდოდა, დილერმა კი ამ დროს მეორე კარტად 3-იანი აიღო, ხოლო მესამე კარტად 10-იანი და 21-ით გაიმარჯვა. ასეთი რამ თითქმის წარმოუდგენელია — მსგავსი არასდროს ხდება. გაბრაზებისგან ჭიქა კედელს შევანარცხე. ჩემს მოქმედებაზე დაცვა დაიძრა, თუმცა მენჯერმა იმ წამსვე შეაჩერა, მომიახლოვდა და დამიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ თავისი გამოცდილების მანძილზე ასეთი რამ იშვიათად უნახავს და დილერის შეცვლა შემომთავაზა. დილერის შეცვლა ნებისმიერი მოთამაშის ცრურწმენაა — თითქოს რაიმეს ცვლიდეს. თამაშში აჩვილი 4 კარტის დასტა იგივე რჩება — უბრალოდ, სხვა ადამიანი გარიგებს. ამ ცრურწმენის დიდად არასდროს მჯეროდა, ამიტომ კარტის აჩეხვა მოვიტოვე.

4 დასტის აჩეხვას დიდი დრო უნდა. სანამ ეს პროცესი დასრულდებოდა, ისევ საპირფარეოსკენ გავემართე და ცოტად დენი კოკაინი დავიმატე. წინა დღით მოგებული თანხა უკვე აღარ არსებობდა — თანხა, რომელიც დაახლოებით იმ ბინის საფასურია, რომელშიც ვცხოვრობ და რომელსაც 4 წელიწადში გამოვიმუშავებ, თუ არაფერს დავხარჯავ და ყველაფერი კარგად წავა. წინა დღის მოგებიდან მხოლოდ ჩემი ფინანსური შესაძლებლობებისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი და რამდენიმე გასტუმრებული მევალე შემომრჩენოდა.

თამაში დამთავრდა. ახლა ომი იწყებოდა. რაც იმას ნიშნავდა, რომ თამაშს ვინცუბდი თანხით, რომელიც ჯიბეში კი მედო, მაგრამ მე არ მეკუთვნოდა და რომლის ნაგების შემთხვევამაც თვითმკვლელობა ყველაზე რაციონალური გადაწყვეტილება იქნებოდა. თუმცა ძალია, რომელსაც ვგრძნობდი, შეუძლებელი იყო, სხვაგან დამეხარჯა. ისე დავბრუნდი პრივატ-დარბაზში, ნაგებაზე ერთი წუთითაც არ მიფიქრია. ახალი ჭიქა ვისკი უკვე მაგიდაზე დამხვდა. ისეთი მხიარული სახით მიუჯექი, თითქოს მანამდე არაფერი მომხდარიყოს. ფულის შეკერები მაგიდაზე ამოვალაგე და ისევ ჩიპებში გადავიცვალე.

ამჯერად 5 ხელის, ანუ 5 ბოქსის, თამაშში გადავწყვიტე. დახურდავებული ჩიპები მთლიანად გავანანილე 5 ბოქსზე და კარტს დაველოდე. გული ისე მიცემდა, როგორც არასდროს. რალაც მომენტში ვიფიქრე, რომ ეს შეგრძნება — როდესაც შენ თვალწინ წყდება, გადარჩები თუ იცოცხლებ — ღირდა ამ თანხად.

პირველ ბოქსზე 10-იანი დამირიგდა, მეორეზე — ტუზი, მესამეზე 9-იანი, მეოთხეზე 4-იანი, მეხუთეზე ტუზი. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. მთავარი იყო, დილერთან, 6-იანის ჩათვლით, ნებისმიერი ბანქო დარიგებულიყო. მაგრამ დილერთან ტუზ ვევა ვიყავი დარიგდა...

„ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. თუ დილერი მეორე ბანქოდ მაღალ კარტს არ დარიგებს და ჩემკენ მაღლები წამოვა, ყველაფერი კარგად იქნება“...



სანამ დასტიდან შემდეგი ბანქო გამოვდიდა, დრო გაჩერდა. წამიერად თითქოს ორგანიზმი ყველა ნარკოტიკმა დატოვა და დამეფულა შიში — ისეთი შიში, როგორიც აქამდე არასდროს მიგრძენია; შიში, რომელმაც ნებისმიერი სხვა გრძობა შთანთქა. მეგონა, ამ მომენტში მოგვდებოდა. ალბათ ზუსტად ასეთივე შეგრძნება ეუფლებათ ადამიანებს, როდესაც დატენილი იარაღის პირისპირ აღმოჩნდებიან და, მართალია, დარწმუნებულნი არიან, რომ სიკვდილი გარდაუვალია, მაინც ებლაუჭებიან იმედს — იქნებ გადაარჩენ; იქნებ იარაღის მეორე მხარეს მყოფმა არ გაისროლოს. სწორედ ასეთ იმედს ვეჭიდებოდი — იმედს, რომ შემდეგი ხუთი ბანქო მაღალი იქნებოდა, ხოლო მეექვსე — დაბალი.

ზუსტად ამ მომენტში გამახსენდა ყველაფერი...

გამახსენდა, როგორ მოვედი აქამდე...

\*\*\*

ბიზნესისთვის ყურადღების მისაქცევად სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო მრჩებოდა. ძირითადად, კაზინოში ვიყავი. როდესაც შუადღის სამიდან დილის ხუთ საათამდე თამაშობ, რთულია, სხვა რამესაც დაუდო გული. თუ მაინც გადაწყვეტ, დრო ამ სხვა რამისთვისაც გამოიხარო და დაგუგავ, აუცილებლად აღმოაჩენ ნარკოტიკების ჯგუფს, რომელსაც სტიმულატორები ქვია. მე ამ ჯგუფის ყველაზე გავრცელებული და ცნობილი ნევრით დავიწყე.

კოკაინი პირველად მოწინააღმდეგე გამასინჯა პოკერის მაგიდასთან. მახსოვს, პირველი ეფექტი როგორც კი ვიგრძენი, მაშინვე მივხვდი, ეს ნარკოტიკი აუცილებლად დამჭირდებოდა, თუ თამაშისა და ბიზნესის შეთავსებას ვაპირებდი. თავდაპირველად კოკაინი მართლაც ძალიან დამეხმარა, თუმცა მისი ეფექტი მალევე გაქრა და თან სხვებისთვის ამკარად შესამჩნევი გახდა ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა. მანაც შეამჩნია და თუ იმდენი

ძალია არ მყოფინდა, რომ თამაშისთვის მის გამო თავი დამენებინა, როგორც მინიმუმ, არ მინდოდა, ამჯერად იმაზე ენერჯიულა, რომ ნარკომანად ვყალიბდებოდი. ასე რომ, კოკაინის მოხმარება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებამდე სწრაფადვე შევამცირე.

ბიზნესის საქმეში ჩემი უყურადღებობისგან ნელ-ნელა უკან ვვალა დავიწყო...

ძალიან მჭირდებოდა რაიმე ნივთიერება, რომელიც საშუალებას მომცემდა, თან მემუშავა, თან მეთამაშა. ამ პერიოდისთვის უკვე აღარანაირი იმედი და რწმენა მქონდა იმისა, რომ თამაშს თავს დავანებებდი. ასე რომ, პრაგმატულად მოვიქციე და ისევ ინტერნეტს მივმართე გამოსავლის საძიებლად. არც ისე ბევრი ძებნის შედეგად მივაკვლიე მედიკამენტს სახელად ADERALL — ამფეტამინისა და დექსტროამფეტამინის

ახლოვდა და გამომელაპარაკა: — ეგ კი არა, სტო ტიპი მანეთი ნაგებე ოდესაში, 73-ში.

იმდენად გაბრაზებული ვიყავი ნაგებისგან, ყურადღებაც არ მიმიქცევია, თუმცა მაინც გააგრძელა:

— ს კარე ვალეტოვ ვ რუსკამ პოკერე, პრიდესტავლიაეშ?

ეს უკვე მოვისმინე და თავი ვითომ დიდი სინანულით გადავიქინე. მსგავსი ისტორიები კაზინოში ბევრჯერ მომისმენია და ზუსტად ვიცოდი, აჯობებდა, დიდი ინტერესი არ გამომეჩინა, თორემ თავიდან ვერ მოვიშორებდი.

— ერთი თვის თავანი. ტაგდა მნე ბილო 25 ლეტ. საიდან გინდა, მოიტანო 100 000 მანეთი?! 25 წლის ბიჭს კი არა, ბიჭო, მაშინ მინისტრი ვერ იშოვიდა 100 000 მანეთს ერთ თვეში. რამდენი წლის ხარ შენ?

მკითხა და თან ხელით მაგიდისკენ მიმიპატიჟა, სადაც ხილი და კონიაკი იდო. მომერიდა და მიუჯექი, თუმცა ერთი სიტყვაც არ მითქვამს. ტვინი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, სად მეშოვნა სათამაშო ფული და დანანებით ვუყურებდი მაჯას, რომელზეც ჩემი საყვარელი საათი აღარ მეკეთა. ადერალის ეფექტი ნელ-ნელა გადიოდა, დალილობა და სასონარკვეთა მეუფლებოდა და თან ღამით ჩადენილი „გმირობები“ მახსენდებოდა.

— რამდენი წლის ხარ, ეგ მითხარი?

— უცებ გამოვფხიზლდი და ვუპასუხე: — უკაცრავად. ოცდაექვსი.

— ვოტ მნე პრიმერნო სტოლკო ვე ბილო, — გააგრძელა საშინელი ქართული აქცენტით, — სად გინდა, იშოვო ამხელა ფული?! თან მე ხო ზეკი ვიყავი მანამდე. რამდენი წააგე დღეს?

— 6000 დოლარი.

კაზინო ის იშვიათი ადგილი იყო, სადაც ნაგების დამალვა არ მინდებოდა.

— ოხ, რა გჭირს, ძმაო, შენ, — სიცოცხლით მითხრა და კონიაკი დამისხა, — რა გქვია შენ?

— ცოტნე, — უკვე ცოტა გაღიზიანებული ვუპასუხე, რადგან საკუთარი მარცხი ჩემთვის ძალიანაც დამანგრეველად გამოიყურებოდა.

— ოო, ჯეირანი მქვია, ჯიგარო, მე. ჯერ საქმე მოგიყვე, თუ ჯერ ისტორია?

— ჯერ საქმე, — ისე ვუპასუხე, რომ მაქსიმალურად კორექტულად გამომსვლოდა.

— ოჰ, საქმის კაცი ყოფილხარ, ცოტნე, — ისევ ღიმილით მიპასუხა, — იყოს ჯერ საქმე. ეხლა, ჩემო ცოტნე, მე შენ გათხოვებ 5000 დოლარს 10 დღით. შენ მე დამიბრუნებ 5500 დოლარს 10 დღეში, ანუ დამატება დღეში 50 დოლარი. ბევრი კი არაა, 1%-ია. შენც იხეირებ. იქნება, ამოაგდო ეს ნაგება და დღესვე გამისტუმრო. მეც კმაყოფილი დავრჩები. გინდა დღეს დამიბრუნე, გინდა — 10 დღეში. ჰოდა, მე და შენ გვექნება, ჩემო ცოტნე, დავერიო. შენგან არც დოკუმენტი მენდომობა, ძმაო, არც — არაფერი. ისე რომ, თუ გაიზრდება ჩვენი ერთმანეთში დავერიო, გაიზრდება თანხაც და დაიკლებს ეგ პროცენტიც. აგერ, ა, ჩემი ბიჭები მოგანვდიან ფულს, — თავი იქვე მდგომი ორი ბიჭისკენ გაიშვირა, რომლებისგანაც ადრე მცირე თანხა ისედაც მქონდა ნასესხები.

დიდად არ გამკვირვებია, რაც მითხრა თუმცა კი გამიხარდა. მაღლობა-მეთქი და ხელი გაუწოდე ჩამოსართმევად, მაგრამ არ ჩამომართვა, ცოტა ნაწყენი სახე მიიღო და მკითხა:


— აბა, ისტორია?

— ა, უკაცრავად. გისმენთ, გისმენთ, — ვუთხარი და უკვე მშვიდად მოგკალათი სკამში.

— ის სტო ტიპი მანეთი მქონდა-მეთქი თავანი, რო გითხარი. რანაირად გინდა, რო ჩააბარო? თან ზეკი ვარ; რომც არ იყო, რანაირად გინდა, რო იშოვო ამხელა ფული?! მოკლედ, დავდივარ ასე გიჟივით და ხან სად ვყაჩაღობ, ხან — სად, მარა მეთადეს ვერ ვუყრი თავს. 2 დღე მაქ დარჩენილი თავნის დღემდე და მომადგა ერთი იქაური სომეხი. მეუბნება, მე გასესხებ მაგ ფულს 3 თვით თვეში 5 პროცენტში. ყოველი თვის ბოლოს მომიტანე პროცენტთანადო. ვიფიქრე, ეხლა აშენდი, ჯეირან, მოვიდა დარმავი ფული-მეთქი. დავთანხმდი. იმ წუთშივე სიხარულით წავედი, გადავიხადე თავანი, მოვიკლდე ჩემ ნაყაჩაღარს ხელი და დავანექი იმ დამესხე მისკოვში. დავინყე გულაობა — კაის ვჭამ, კაის ვსვამ








ბელა ჩეკურიშვილი  
რაინისპირა  
ქაბჯები

„რაინისპირა ამბები“ 27 ნოველისგან შემდგარი ნიგნია, რომელშიც ბელა ჩეკურიშვილი გვიყვება ეპიზოდებს გერმანიაში ემიგრაციიდან. ბონის უნივერსიტეტიდან 25 წუთის სავალზე (მატარებლით) ერთი ბინაა, სადაც ოთხი სტუდენტით, ოთხი გოგონათი და ოთხი ქვეყნით. მათ თანაცხოვრებაში კი სირთულეები, ბუნებრივია, არსებობს, განსაკუთრებით თუ ესპანელთან, ბრაზილიელსა და გერმანელთან ერთად გინევს ცხოვრება, და მით უფრო, თუ თავად ქართველი ხარ. ავტორმაც თავი მოუყარა ამ გერმანულ ამბებსა და კურიოზებს და „რაინისპირა ამბები“ გააერთიანა.



სოსო მეშველიანი ის ადამიანია, რომელმაც 17 წელი უცხოეთში დაჰყო. ჩვიდმეტმა წელმა მოიტანა ბევრი ამბავი, ადამიანი და ნოველების სახით თავი მოიყარა კრებულში „ალპური ყვავილები“.

„რომ ვუთხარი, უცხოეთში დავედივარმეთქი, თავისი ამბავი მომიყვა, როგორ აილო მალაპროცენტიანი სესხი, ვიღაც ქართველი შეპირებია გერმანიაში წაყვანას, ჩასულა კიევი და იმ გარეწარს გადაუგდია. უკან ვერ დავბრუნდებოდი ჩემი ვალების გადამკიდეო, იქაც ვიღაც დაპირებია უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე ფეხით გადაყვანას, სამი ღამე უთენებია უკრაინულ ზამთარში, ტყეში. გადასულა, პოლონეთში დაუჭერიათ, კაი ხანი აყურყურტეს თურმე, მერე რალაცნაირად იქიდანაც გამოუღწევია... მერე კიდევ... მერე კიდევ...“ თანაც ეს ყველაფერი არაა. ყოველდღე ცოლი ურეკავს — „იქნებ გვიშველო რამე, მევალები გვახრჩობენ, ცოტა ფული მაინც გამოგაზავნე, რომ პროცენტი დაგფაროთ, არც ბავშვების ტანსაცმელი მაქვს, მალე სკოლა ეწყებათ, მარტო შენ გიჭირს ამისთანა უსაშველობა?“ და ეს მაშინ, როცა დათოს ჯიბის ფული არ აქვს, მაშინ, როცა დათო მწველია, საშინელი მწველი, სიგარეტის ფულიც არ რჩება და ახლა ქუჩაში შეგროვებული, გადაგებული სიგარეტების შეკონინებას ცდილობს.

სამწუხაროდ, ეს არაა ერთადერთი ამბავი, რომელსაც ამ ნიგნში ამოიკითხავთ და კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ დათო არაა ერთადერთი უიღბლო ქართველი ემიგრანტი.

ნიგნი სწრაფად იკითხება და ჩრდილივით დაყვება დიდი ემოციური ტალღაც. სოსო მეშველიანი ის კაცია, საკუთარ ტყავზე რომ იწვინა ყველაფერი და გადაწყვიტა, სხვებისთვისაც მოეყოლა, თუ როგორ მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება ემიგრანტებს, ყველანაირი შრომითი უფლებებისა და შესაბამისი ანაზღაურების გარეშე, მშობლიური სახლ-კარისა და ოჯახისგან შორს, ამავდროულად, გაუთავებელი პრობლემების კვალდაკვალ. ერთი ნოველიდან/ჩანაწერიდან მეორემდე უსამართლობის გრძობა მეტად გნავს და გიღრღნის სულს, იმდენად, რომ ბოლო ფურცლის შემდეგაც დიდი დროა საჭირო ამ ემოციის ჩასახშობად.

მწერალი და გარემო

ამას წინათ მე და ჩემი მეგობარი ვკამათობდით თემაზე: რა აყალიბებს ადამიანს ისეთად, როგორც არის. ჩემი მეგობარი ამბობდა, გარემო, ადგილი, სადაც ცხოვრობს, მე ვამტკიცებდი — ხალხი, ვისთანაც ცხოვრობს-მეთქი. დღეს ვფიქრობ, რომ ორივე. დიახ, ასეა, ადგილიც და შენ ირგვლივ მოქმედი პერსონაჟებიც დროთა განმავლობაში გაყალიბებენ და შენს საბოლოო ხატსაც ქმნიან. გამონაკლისები არც მწერლები არიან — ყველა მათგანში იმალება მათი მშობლიური გარემო, ადგილი, სადაც დაიბადნენ, გაიზარდნენ, საბოლოოდ კი გადაწყვიტეს, მკითხველისთვისაც მოეყოლათ ცოტა რამ იმათ შესახებ. გიზიარებთ იმ ნიგნების მოკლე ჩამონათვალს, სადაც ავტორებმა საკუთარი ქალაქი, სოფელი ან კუთხე ყველაზე ნათლად წარმოაჩინეს.



ილია ჭანტურიას სადებიუტო მოთხრობების კრებულში — „ნინოშვილის 25“ — თავს იყრის ამბები იმ ახალგაზრდებზე, ვინც ცდილობს, იპოვოს საკუთარი თავი ცხოვრებაში; ვინც ცდილობს, გაუმკლავდეს სხვადასხვა სოციალურ პრობლემას; ვინც ცდილობს, საერთო ენა გამოიხატოს ოჯახთან გადატვირთული სამუშაო გრაფიკის ფონზე. კრებულში აღწერილი მოვლენების უმეტესი ნაწილი ავტორის მშობლიურ ქალაქ ზუგდიდში ვითარდება და, ბუნებრივია, ზუგდიდელი პერსონაჟებიც თავისებურად მოგვითხრობენ თავიანთ სევდიან ისტორიებს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალურად დაბალ ფენებს ბანკები სახლს მთელ საქართველოში ართმევენ, ტრანსგენდერებისთვის წესის აგების რიტუალი სხვა ქალაქებშიც არანაკლებ აკრძალული ხილია, ან საერთოდაც, თამაშები ყველგან წინასწარ დათქმული ანგარიშით სრულდება!

ამ ნიგნში თეონა დოლენჯაშვილმა ოთხი მოთხრობა გააერთიანა. თითოეული ნაწარმოები გამოირჩევა დესტრუქციული, აპოკალიფსური მოვლენებითა და მოულოდნელი ფინალით. იმერლების ჩვეული ხასიათი და იმერული კარ-მიდამო სამოთხედ რომ ესახება თეონა დოლენჯაშვილს, მოთხრობიდან — „დაკარგული სამოთხე“ — ნათლად ჩანს, სადაც მწერალი იმერეთის სოფელ ნაგარევიმ გატარებული



დღეებს აღწერს. დედისა და ბებია-ბაბუის მიერ ნაამბობი ისტორიები ნაგარევი დაუჯერებელია. მართლაც, დღეს ძნელია დაიჯერო, თუ როგორ გადის ადამიანი ყოველდღე ხუთ კილომეტრს, რათა სკოლაში დროულად მივიდეს, არანაკლებ რთულია, დაიჯერო ამბავი პატარა გოგონაზე, რომელიც ქრისტიანებმა დაწვეს, რადგან კათაკმეველი იყო, ან კიდევ ვინმე თუ იცის, თხის სისხლს სამკურნალო თვისებები რომ აქვს იმერლებისთვის?!! შეუძლებელია, თეონა დოლენჯაშვილზე საუბრისას გამოირჩეულ ქალ პერსონაჟებს აუარო გვერდი, მით უმეტეს, თუ ისინი იმერლები არიან. ქალები „პერსონალურ ქრისტიუმი“ მხოლოდ სამშობლოს შენარჩუნებლად კი არ მოსჩანან, არამედ, მათ აქვთ თავიანთი ხმა, თავიანთი პრობლემები, რომელსაც, მაგალითად, ცილა, მშვიდად სიგარეტმომარჯვებული ხვდება, მარტო კი თავს არ ზოგავს იმისთვის, რომ ჯერ არდაბადებულ შვილს სიცოცხლე შეუნარჩუნოს...

„სკანდარა და სხვა მოთხრობები“ პროზაული კრებულის, რომლის პირველ და ალბათ მთავარ ნაწარმოებში ბექა ქურხულმა მამის და მისი სამეგობროს თავს გადახდენილი ისტორიები გააცოცხლა. მოთხრობაში აღწერილი მოვლენები გომბორში ვითარდება, იქ, სადაც ჩამოსახლებულ ფშავეებსა და ხევსურებთან ერთად აზერბაიჯანელები, კაზაკები, სომხები და ოსები ცხოვრობენ. გომბორი პატარა სოფელია დიდი ისტორიებით. აქაურ ბიჭს არ აქვს უფლება, უყვარდეს აზერბაიჯანელი გოგონა, რადგან ერთი ქართველია მეორე კი — არა, სოფლის ცენტრში კი რესტორანია, რომელსაც პაკოზა და რეზო ყოველდღიურად სტუმრობენ, სწორედ ამ შენობაში იწყება მთავარი ჩხუბი და აქვე იყრის თავს ყველანაირი ჭორ-მართალი, რასაც გომბორი აგროვებს. დღეს იმ რესტორნის ადგილას მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი, თავად სკანდარა კი უმდივად დამახსოვრებულ და ლეგენდარულ პერსონაჟად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ გომბორელებს მისი არცერთი სურათი არ აქვთ შემორჩენილი. „სკანდარა და სხვა მოთხრობები“ უემოციოდ არ დაგტოვებთ, რად-



გან ბექა ქურხულმა სევდა და იუმორი ერთმანეთს უზადოდ შეუხამა და არაერთი მგრძობიარე თემის დამტკიცებელი მწერბრივად, არაპროპაგანდისტულად მოჰყვა, თანაც, ვინ იცის, იქნებ ერთ დღესაც შუაგულ გომბორში გადაეყაროთ ნიგნის ნაცნობ პერსონაჟებს?!



დავუბრუნდეთ კვლავ იმერეთს, ადგილს, რომელიც თავს ვერ მოგანყენს. წერის ლალი მანერა და ჩამთრევი დიალოგები სოფიო კუბლაშვილმა ერთმანეთს ოსტატურად შეუხამა. როგორც თავად ამბობს — „იმერულ ძაფზე დიალექტად ასხმული“ ნოველები გააერთიანა და „ოკრიბის ღმერთი“ შექმნა. თუ მზად ხართ, მოისმინოთ ამბები ფოტოებისგან, მგზავრებისგან, ტელეფონის მოულოდნელი ზარისგან ან თუნდაც, ხის გობებისგან, ეს ნიგნი თქვენთვისაა! ავტორის/ნიგნის სურვილია, შეგახსენოთ, რომ ღმერთი ყველგან და ყველგანაა, ჩემ მიერ ჩამოთვლილ ნივთებშიც კი. ნოველებში სოფიო კუბლაშვილი იმერულად სტილიზებული ენით გვიყვება თავისი ბავშვობის ამბებს: როგორ ემუქრებოდა ბებია, თუ ღამით ხელპირდაუბანელი დაწვებოდა; როგორ უყვებოდა გედო ბაბუა თავის კურიოზებს და, საერთოდ, რა განსაკუთრებული რაღაცები ხდება შუაგულ იმერეთში; მოკლედ, გიორგი კეკელიძის მიერ შესავალში შემოგდებული ფრაზანაკვერცხალისა არ იყოს, „გახურდა ფერი, ტკვარცალებს ცეცხლი. ჩაუჯექით, არ მოიწყენთ.“

„ქალაქი ბრძნობების პირატების“

„ასეთი მაგარი ხალხი ვართ ქართველები...“ — ამ ფრაზას ჩაილაპარაკებდა ხოლმე ჩემი ლექტორი, როცა უახლეს წარსულში ქართველთა მიერ ჩადენილ ფსევდოსაგმირო ისტორიებს გაგვანდობდა. ცუდი ისაა, რომ მთელი სემესტრის განმავლობაში არცერთ სემინარს ჩაუვლია მსგავსი ისტორიის გარეშე. ჩვენ კრეატივს საზღვარი რომ არ ჰქონდა, კი ვიცოდით, მაგრამ ჩემი ლექტორის მიერ მოყოლილი ამბები მაინც სიმწრის სიცილს გვგვრიდა მეც და ჩემს ჯგუფსაც. მაგარ ქართველებზე გამახსენდა ის ფენომენი, ჩვენში „კაცი არა გქვიან, ოდეს 13 (უკიდურეს შემთხვევაში — 15) წელი შეგისრულდეს და ჯერაც ვერ ეზიარებოდე სხეულსა მას მანდილოსნისასა“-ს ვეძახით. აბა, როგორ, კაცო, ნუთუ, ბიძისა ჯერ კიდევ არ მოუხდია ვალი თავისი ძმისშვილის წინაშე?! სიმართლე გითხრათ, არასოდეს დავინტერესებულვარ, თუ რას გრძობდნენ ეს ძმისშვილები, როცა მეძაგვები მათ „დავაუკაცებაზე“ ზრუნავდნენ, არც სექსმუშაკებზე მიფიქრია არასდროს, აი, ივა ფეზუაშვილმა ჩემგან განსხვავებით, იფიქრა და „ფსკერის სახარება“ შემომაჩენა ხელში.

ახალგაზრდა რეჟისორი ცდილობს, ცოლის დისშვილი დაითანხმოს სკოლაში წასვლაზე და მთელი 12-წლიანი მოღვაწეობის ჯილდოდ ბოლო ზარის წარწერებით აჭრელებულ პერანგს წარუდგენს.



### ანი დიდიშვილი ჩემი ქართული ლიტერატურული წელიწადი

დასასრული

ბავშვი, ან უკვე პირველკლასელი, აღმოაჩენს უცნობ, მისთვის სრულიად მოულოდნელ წარწერას პერანგის კუთხეში. რეჟისორი ფრაზის ავტორის გამოვლენის მიზნით პატარა კვლევას შეუდგება. ძიების გზა ხან საით წაიყვანს პროტაგონისტს და ხან — საით, მაგრამ ბოლოს მაინც ვინმე კანინკასთან მიიყვანს და აქ იწყება მთელი კინო, დაუჯერებელი ამბავი კიდევ უფრო დაუჯერებელი კულმინაციით.


მეძავეზე ვილაპარაკე, თუმცა, ბუნებრივია, წიგნი მართლ მათზე არაა, აქვე არიან მალაქონოსები, ყველაზე ბინძური მოხელეები, დანინაურებული პოლიციელებიც, რომლებიც სტატუსის ასამაღლებლად თავიანთ დანაშაულს ხსნიან და სანაცვლოდ სხვებს იჭერენ, აქვეა ის საზოგადოება, რომელთა თვალშიც ჩვენ ყველა მოქმედებას ხედავს, ხოლო გონება — განსჯის, ხომ იცით და გახსოვთ — Big brother is watching you! და აქვეა თბილისი, მთელი თავისი ჭორხარბერბით, რომელიცა რომ „ქალაქია გრძობების პირატების, ფიქრებს რომ გპარავს, ის ქალაქია თბილისი. ქალაქია თბილისი იმ ხალხის, რომელმაც საკუთარი ცხოვრება არა და არ იცის, მაგრამ იცის შენი და იცის თბილისის. თბილისი ქალაქია, რომელსაც ყველა შენი ნაბიჯი, ყველა შენი სუნთქვა აინტერესებს, იმიტომ, რომ შეეცი და თავისი არ აქვს, თბილისი ქალაქია მეკვდრების...“

უყურადღებოდ ვერ დავტოვებ მთავარი გმირის საოცარ მეტამორფოზას. ან, რანაირად აუფარო გვერდზე? კაცი ტიპური ჰედონისტიდან უკანასკნელ ალტრუისტად იქცევა. არანაკლებ საინტერესოები არიან სხვა პერსონაჟებიც, არავინ არავის ჰგავს, ყველა უნიკალურია, ფსკერის სექსმუშაკებიც კი. მიუხედავად იმისა, რომ „ფსკერის სახარება“ ბიბლიური სლენგითაა მოთხრობილი, არსად იგრძნობა ხელოვნურობა, პირიქით, ყველაფერი ისე ბუნებრივად და მცოცავ ქვიშასავით ჩამორევიდა, კითხვას რომ დაიწყებ, ვერ მოწყდები მანამ, სანამ ბოლოში არ ჩახვალ, ბოლოში კიდევ...

ოოო, ბოლოში რა საოცრებებიც ხდება, ერთი მე ვიცო, მეორე ივა ფეზუაშვილია და მეტამე იმ ხალხმა, ვინც უკვე დაინახა ამ გვერდებს. როგორც ჩემი კლასელი იტყოდა, ჩვენ ყველანი სიმულაციის ვცხოვრობთ. ეგრეა, მაგრამ სიმულაცია რეალუბის გარეშე არ არსებობს, აი, თბილისის ფსკერზე არეკლილი რეალობა კი უკვე დაწერილია ნიგნად — „ფსკერის სახარება“.



ნა ფეზუაშვილი  
**ფსკერის  
სახარება**



ძალაქს გიჟი არ ჰყავდა. ეს საშტატო-საქალაქო ვაკანსია ათი წლის განმავლობაში ტილიან მნათეს, კუზიას, ეკავა. ოდესღაც შვილი დაეხრჩო და იმ დროიდან მოყოლებული, წყალი ეშმაკის ნარწყვი ეგონა. კუზიამ სამუდამო უარი გამოუცხადა ბანაობას და ზარეჩიუმიც არ დადიოდა. „სატანამ ჩავაფურთხა თვალებში“ — ჩურჩულით ეუბნებოდა ცისფერთვალება გამვლელებს. ჩაის დაღვინის წინ ჭიქას ჯვარს გადანერდა ხოლმე. კუზიას შავი და თაფლისფერ თვლებიანი მედახლეები აჭმევდნენ. ცოტა ხნის წინ კი კუზია მოკვდა, და ახლა ქალაქელები აშტერდებოდნენ ციციკილ, მზინავ მოსასახამში გამონყობილ მოხუცს — მის გიჟად გამოცხადებაზე ფიქრობდნენ.

პატარა ბიჭები დიდხანს დასდევდნენ შეძახილებით: „ჩიჟიკ, ჩიჟიკ“. ძველად, როცა ჯერ კიდევ ამ ბიჭების უფროსი ძმებიც არ იყვნენ დაბადებულნი, ბერიკაცი მუსიკის მასწავლებელი იყო. ზედმეტსახელი „ჩიჟიკ“ ბავშვებს არ მოუფიქრებია. ცოლი უკვდებოდა, პიანინო კარაქზე გაცვალა და მოსკოვიდან პროფესორი გამოიძახა. ცოლი მაინც მოკვდა და მოხუცმა კინოსტუდიაში ტაპიორად დაიწყო მუშაობა.

ერთხელაც, „ძვირფასი სიყვარულის ზღაპრების“ ორ სეანს შორის, ღია მელნისფერბეჭდვარტყელი კონვერტი მიაწოდეს. პოლკის მეთაური ატყობინებდა, რომ მისი ორივე შვილი, ნიეტლარმელები, ომში გმირულად დაიღუპა. მოხუცმა ქალაქი აკურატულად მოათავსა კონვერტი და როიალს მიუჯდა, თუმცა ყველაზე პათეტიკურ ადგილას „ჩიჟიკის“ დაკვრა დაინყო. სეანსი მუსიკის გარეშე დაასრულეს და კინოსტუდიის გამგე მთელი საღამო, როგორც შეეძლო, ამშვიდებდა მოხუცს, ერთ კვირაში კი დაითხოვა. სამაგიეროდ, რაილმასკომმა დახმარება გაუწარხა.

ყოველ დღით ის — დიდი აღნაგობის, შემუშუბებული სახით, მიძიდ მსუნთქავი — ჯოხზე მიბჯნინილი, ქალაქის გავლით მიდიოდა. ლომის თავები — კრილატკის შესაკრავები — ელვარებდნენ. მოხუცი ყოველდღიურად ცარციტ აპრობლებდა ლომების დრუწჩებს. გზად ჩაუვლიდა შეშისათვის გამოჩეხილ ხეებს, თხებს, მობილიზაციის შესახებ აფიშებს რომ ლოდნიდნენ, მავთულხლართით შემოღობილ უბადრუკ ბოსტნებს, ჯერ კიდევ კინემატოგრაფებად გადაუკეთებულ ეკლესიებს, მრისხანედ რომ აღეპყროთ ზეცისკენ თავიანთ გუმბათთა კერტები.

ის ბაზარში მიდიოდა...  
ბაზარს „სპეკულაციებითან ბრძოლის მოედანი“ დარქმეოდა. იქ სპეკულაციის ებრძოდნენ. კვირაში ერთხელ კნაოდნენ სასტენები და გარემოვაჭრე ქალები. სახლების ლოზელების მიღმა მიფრინავდნენ გიმნაზიის პალტოები, მახორკის შინ მოყვანილი თამბაქოს ტომრები და მეზღვაურების პერანგები. მათ მიყვებოდნენ ნივთების ახლანდელი და მომავალი მფლობელები. ჭიკრისქვეშაში იმალებოდა თუთიყუში, რომელიც ბედნიერებას ქადაგებდა...  
და ხალხისგან დაცარიელებულ ბაზარში, შედებილ სკამებსა და თლილ ხის ბზრისალებს — ბაზრის მონტე-კარლოს რულეტებს: „ხუთისთვის — ოცდახუთი, ოცდახუთისთვის — ასოცდახუთი. პასუხი ორ

# ვარლამ შალამოვი ლისტის მეორე რაფსოდია

მილიონამდე — შორის უძრავად იდგა უზარმაზარი ნაღვლიანი ბერიკაცი. მისი ამბავი მთელმა ქალაქმა იცოდა და ალყის დროს მილიციასაც კი არ მიჰყავდა. და როცა ერთხელ გამოძიების ახალგაზრდა აგენტმა, კარტერ-პინკერტონების გულმოდგინე კოლექციონერმა, მოხუცი თავის უფროსს ნარუდგინა, მან იკითხა: რატომ მოიყვანეთ ეს... ლისტის? ზედმეტსახელი სამძებროს უფროსს არ მოუფიქრებია. მოხუცმა, მართალია, პიანინო გაყიდა, მაგრამ გრამოფონი შეინარჩუნა. ის პირველი იყო ქალაქში, ვინც გრამოფონი შეიძინა. დიდი ხნის წინ, როცა ცოლი და შვილები არამართო ცოცხლები იყვნენ, არამედ მხიარულებიც, ყოველდღე სახალხოდ ჩართავდა ხოლმე ამ გრამოფონს. ბინის ფანჯრებს ქვემოთ იკრიბებოდნენ გიმნაზისტები, მოლარეები, მეხანძრეები და მზარეული ქალები — მოხუცი ქალაქს ართობდა. ომის წლებში შეიძინა ფირფიტა, რომელიც მთელ ოჯახს შეუყვარდა. ეს იყო ლისტის მეორე რაფსოდია. ის მხოლოდ ორჯერ დაუკრეს. უფროსი შვილის ფრონტზე წასვლის სწრაფ სამზადისში ფირფიტა მაგიდიდან გადმოაგდეს, გატეხეს. მოხუცს არ შეეძლო ამ ამავი, მძღავრი და ახალგაზრდა მელოდიის გამოვლება, მაგრამ ის სწორედ ასეთი ახსოვდა.

სალამობით მოხუცს გარეთ სკამი გაჰქონდა. დაისის ვინო მწვანე ზოლის ცქერისას იხსენებდა განვლილ ცხოვრებას. გრძობდა, რომ ბედნიერება დაუსხლტა ხელიდან და დაიმხვრა. იხსენებდა შვილებს და რაფსოდიაში დამახსოვრებულ ორ-სამ ტაქტს ლიტინებდა. აღარც რაფსოდია იყო, აღარც — შვილები. ნაცრისფერი მტვერი უხმაუროდ ეფინებოდა მოხუცის ჩქქქებს.

თანდათან რაფსოდიაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე შვილებსა და ცოლზე. ფიქრობდა, რომ ლისტის ოჯახს დაუბრუნებდა. განახლება ძველი ურთიერთობები, ახლებიც ნამოიწყო. ხვნეშით იხრებოდა მეძველმანეებისა და ბაზრის მოვაჭრეთა ნივთების „ხროვებზე“. მტანჯველად დიდხანს ეძებდა — იქნებ, ათასი დღის განმავლობაშიც. ასე გაიგო ქალაქმა ლისტისა და მისი რაფსოდის არსებობის შესახებ.

ერთხელ, ნესტიან და ქარიან შემოდგომის დღეს, მიაგნო ფირფიტას. ბედნიერებისგან სუნთქვა ეკვროდა. ფირფიტის სანაცვლოდ კილოგრამ შაქარს ითხოვდნენ. ეს გიჟური ფასი იყო, მაგრამ გამყიდველი გააფრთხილეს, რომ მყიდველიც გიჟია. მოხუცი ელვავდა. ის სთავაზობდა აგურა ჩაის, რუბენის ასლს, ჩქქქებს. შაქარი ქალაქში არ მოიპოვებოდა. მოხუცს ეშინოდა რაფსოდის დაკარგვის. ემუდარებოდა გამყიდველს, სახლში გაჰყოლოდა და სანაცვლოდ რაიმე ნივთი აერჩია. მედახლე უარზე იყო. მოხუცმა ხვეწნით დაიყოლია, დალოდებოდა — სახლში გაიქცა მუზობლებისთვის შაქრის სათხოვნელად. ორი საათის შემდეგ გახურებული და ოფლიანი დაბრუნდა. შაქარი ვერ იშოვა. ფირფიტის პატრონი გაქრა. მოხუცი ქვაზე ჩამოჯდა და ატირდა. სახლში ერთიანი შრომის სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა წაიყვანა. ბაზარში აღარ გასულა. ორი დღის შემდეგ მათემატიკის მასწავლებელმა ბოდევეში ჩავარდნილი იპოვა სახლში — მოხუცი გაცვივებულიყო და რაფსოდიაზე ბოდავდა. ოთახის კუთხეში ძველი გრამოფონი იდო, გარშემორტყმული დამსხვრეული ფირფიტების გროვით. მასწავლებელი ექიმის მოსაყვანად გაიქცა. მოვიდა მხიარული ექიმი, ის, რომელსაც გიჟები გაექცნენ. ექიმი ერთი წლის წინ ჩამოვიდა ქალაქში, ფსიქიატრიულში რომ ემუშა

ვა, მაგრამ მთვრალმა დარაჯმა ყველა გიჟი გაყარა და მათ შესაგროვებლად არავის ეცალა. ისინი გაქრნენ. ფსიქიატრი თერაპევტი გახდა. იმ დროს ვენეროლოგები „ესპანკას“ მკურნალობდნენ, აფთიაქარები თავის ქალის ტრეპანაციას უტარებდნენ პაციენტებს. ექიმმა მოხუცს სიცხე გაუზომა და თავი გააქნია.

— გამოვჯობინდებით, ბიძაჩემო, — მარდად უთხრა ექიმმა.  
— ასპირინი... რაფსოდია, — ამოიხნავლა მოხუცმა, — რა...

მათემატიკოსმა უამბო მოხუცის ისტორია. ექიმმა ინტერესით შეხედა ავადმყოფს. მოხუცის ამობერილი მუცელი კრთოდა.

— ლისტის... — ამოთქვა ქვითინით მოხუცმა, — ლისტის... — და მან მლოცველივით დაიკრიფა მიძიმე ლურჯი ხელები. მტანჯველი კრუნჩხვა ელვასავით დარბოდა სახეზე...

ექიმი მეორე დღითაც მივიდა. მათემატიკის მასწავლებლის უიმედოდ განითლული თვალები მფრთხლად შესციტინებდნენ. ექიმს ილუზიონისტის ვიწრო თავი. მოხუცის ილიდიდან თერმომეტრი ამოაძრო და პულსი გაუსინჯა. პაციენტი სრულ აზრზე იყო და დუმდა.

— ბიძაჩემო, — თქვა ექიმმა და გახარებული მოსცილდა ლოგინს, — ლისტის მეორე რაფსოდია, — და ზურგსუნიდან შავი რგოლი ამოიღო.

მოხუცის მიძიმე სუნთქვა შეწყდა. მან ფართოდ გაახილა თვალები. სუსტი კონვეულსებით კრთოდა მისი სხეული. ექიმმა დაატრიალა გრამოფონის სახელური და მაუდის რგოლიდან ფრთხილად გადამწინდა მტვერი. მოათავსა ფირფიტა და წახნაგს დააჭირა. ნემსი ამოწინდა და ვალსის („მანჯურის ყორღანებზე“) ტაქტებმა სავარძლიდან წამოაგდო მათემატიკის მასწავლებელი. ის გრამოფონს მივარდა, მაგრამ ექიმმა გზა გადაუღობა. მასწავლებელმა მხრებში ჩაავლო.

— რას კადრულობთ? — მასწავლებელს ყელში შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები მოადგა.

— აბა, აბა, — თქვა ექიმმა და ფრთხილად მოიშორა მასწავლებლის ხელები მხრებიდან, — მოეშვით. თქვენ მხოლოდ მათემატიკოსი ხართ.

მოხუცს სახე უნათებოდა. ნაოჭების მიძიმე ნაკეცები ნელა ეწელებოდა. ის ილიმდა. მსუბუქი მხიარული ქაფი ბუბტუკებად მოადგა მის ტუჩებს.

— ლისტის! — ჩურჩულებდა ის, — ლისტის...

თარგმნა ნორიკ ბალონაძე

